ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 15 აპრილი, 2016 №89 (7015) ფასი: 50 თეთრი

ვინ აკონტროლებს ახალი ბინების ხარისხს

გვ.11

„თუ ხარისხიანი შენობები არ გვექნება, ბინებს ვერ გავყიდით“

15 აპრილიდან

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

იესო ქრისტეს სასწაულები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

ღარიბაშვილი კონსერვატორების სიის პირველი ნომერი ხდება?

გვ.2

„თავის დროზე, როცა მოქკავშირი დაიშალა, ჟვანიას გუნდმა თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიის შექმნა ვერ მოასწრო. ისინი შოთა მალაშხიამ შეიფარა. მათ მალევე შექმნეს თავიანთი პარტია და შემდეგ ნაციონალებთან გაერთიანდნენ. მადლობის ნიშნად მალაშხიას სულ სვამენ სიაში“

„წამლებზე ფასები ოთხჯერ უნდა შემცირდეს“

ჯონდი ბაღათურია: „ოცნება“ და ნაციონალები ხალხს ერთად ძარცვავენ“

გვ.2

მარგველაშვილმა „ქართული ოცნება“ ისევ გააბრაზა

გვ.3

როდის დაიწყება საარჩევნო კამპანია – მაისში თუ ივლისში?

გვ.11

თამარ ჩხეიძე: „რუსეთს „ოცნების“ რეიტინგის კლება აშფოთებს“

„ენდიაიმ 2012 წელს რეალური შედეგები წარმოადგინა“

ISSN 1987-9385

გიორგი ვაშაძე: „ჩვენ 13%-ზე მეტ შედეგს ველოდით“

გვ.5

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ბურჯანაძის პარტია ამერიკისთვის მიუღებელია“

გვ.5

„ენდიაის კვლევები სამართლებრივად უნდა შეფასდეს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „პრეზიდენტსა და პრემიერს შორის გაუგებრობა მიუღებელია“

ღარიბაშვილი კონსერვატორების სიის პირველი ნომერი ხდება?

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება. პოლიტიკაში მის დაბრუნებას ყველა ელოდება, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის, როგორ მოხდება ეს ამბავი.

ერთ-ერთი ვერსიით, ის „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში უნდა ყოფილიყო. როგორც პარტიასთან დაახლოებული პირები ამბობენ, მათი საარჩევნო სიის პირველი სამეული უკვე ცნობილია. ესენი გიორგი კვირიკაშვილი, დავით სერგეენკო და კახა კალაძე იქნებიან.

ირაკლი ღარიბაშვილისთვის მეოცნებეები სიის ათეულში ადგილს, ალბათ, არ დაინანებენ, მაგრამ საეჭვოა, ექსპრემიერი რიგითობას დათანხმდეს. იყო საუბრები იმაზეც, რომ ის რამდენიმე პარტიასთან ერთად შექმნიდა ალიანსს. ეს ინფორმაცია ყველამ კატეგორიულად უარყო.

პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით ის არანაირ განცხადებას არ აკეთებს. ამის მიუხედავად, „ოცნებაში“ ყველა ელოდება მის დაბრუნებას. კერძო საუბრებში მეოცნებეები იმასაც ამბობენ, რომ ეს ამბავი ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმდება.

– ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე განაცხადა, რომ ის თავად შექმნიდა ამ ხელისუფლების ოპოზიციას. შესაძლოა სწორედ ამ ძალის ლიდერი იყოს ღარიბაშვილი. ყველაფრის მიუხედავად, ის ივანიშვილის მაღალი ნდობით სარგებლობს, – განუცხადა „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა.

მისივე ინფორმაციით, შესაძლოა, ეს ძალა „ქართული ოცნების“ ახლოს მდგომი პარტიის წიაღში შეიქმნას.

ჩვენი წყარო არ აკონკრეტებს, აქვს თუ არა მას მხედველობაში კონსერვატორების პარტია. გუშინ, 14 აპრილს, პორტალმა „კვირისპალიტრა.გე“-მ გაავრცელა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კონსერვატიული პარტიის სიის პირველი ნომერი იქნება.

ცოტა ხნის წინ გადაწყდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშლება და მასში შემავალი პარტიები დამოუკიდებლად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. სხვებთან ერთად ამ ბედის გაზიარება კონსერვატორებსაც მოუწევთ.

ამ პარტიის წარმომადგენლები როგორც პირად, ისე ღია საუბრებში აცხადებენ, რომ დამოუკიდებლად არანაირი შანსები არა აქვთ. აქედან გამომდინარე, ისინი, ალბათ, სიხარულით დათანხმდებიან ღარიბაშვილის პირველნომრობას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ღარიბაშვილი ივანიშვილის კადრად ითვლება, ეს მისი მხარდაჭერის მოპოვებასაც ნიშნავს, რაც პატარა ამბავი ნამდვილად არ არის.

კონსერვატორებს არც დიდი დაფინანსება აქვთ. „კვირისპალიტრა.გე“-ს ინფორმაციით, პარტიას ე.წ. კახელების კლანი ანუ ნაპრემიერალის სიმამრი და მისი საახლობლო დააფინანსებს.

ჩვენ ამ ინფორმაციის გადამოწმება კონსერვატორებთან ვცადეთ. პარტიის ლიდერი, ვიცესპიკერი ზვიად ძიძიგური სატელეფონო ზარებს უკვე დიდი ხანია, აღარ პასუხობს. მან არც ამჯერად დაარღვია ტრადიცია.

პარტიის სხვა ლიდერმა პაატა კვიჟინაძემ კი მედიასთან საუბარში ღარიბაშვილის გაკონსერვატორების ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

– ამ ინფორმაციას უარვყოფ. ბატონ ღარიბაშვილთან არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია, – ამბობს კვიჟინაძე.

მართალია, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დასტურდება, მაგრამ სახელისუფლებო გუნდში უკვე დაიწყეს საუბარი იმაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს იმ კონსერვატორებში, რომლის თამადაც ღარიბაშვილი იქნება.

როგორც „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, ეს ამბავი ბიძინა ივანიშვილთან იქნება შეთანხმებული.

– ღარიბაშვილი ამ სიას ისევ ივანიშვილთან შეათანხმებს. სიაში იმ პოლიტიკოსებს შეიყვანენ, რომლებიც ქართული ტრადიციების დაცვით არიან გამორჩეული. არც იმ დეპუტატებს დაივიწყებენ. რომლებიც კონსტიტუციაში იმ ჩანაწერის გაკეთებას უჭერენ მხარს, რომლის ინიციატივითაც ღარიბაშვილი გამოვიდა. ის ითხოვდა, რომ კონსტიტუციაში შემდეგი ჩანაწერი გაკეთებულიყო – „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“, – განუცხადა „ახალ თაობას“ წყარომ.

მისი ინფორმაციითვე, სიაში აუცილებლად შეიყვანენ ძველ კონსერვატორებს.

– თავის დროზე, როცა მოქკავშირი დაიშალა, ჟვანიას გუნდმა თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიის შექმნა ვერ მოასწრო. ისინი შოთა მალაშხიამ შეიფარა. მათ მალევე შექმნეს თავიანთი პარტია და შემდეგ ნაციონალებთან გაერთიანდნენ. მაღლობის ნიშნად მალაშხიას სულ სვამენ სიაში, – ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

მისი ინფორმაციით, გაერთიანების შემთხვევაში ბიძინა გუჯაბიძეს, ზვიად ძიძიგურსა და გიგა ბუკიას სიის ათეულში მოხვედრის უდიდესი შანსები აქვთ.

არაკონსერვატორებიდან სიაში ექსპრემიერის მეუღლის ძმა ლექსო თამაზაშვილიც მოხვდება. როგორც ამბობენ, მისთვის „ქართული ოცნების“ სიაში ადგილი არ აღმოჩნდა.

ჩვენი წყარო არ გამორიცხავს, ამ გაკონსერვატორებული ღარიბაშვილის სიაში მოქმედი დეპუტატები – თამაზ მეჭიაური, დავით ლორთქიფანიძე, ომარ ნიშნიანიძე და სოსო ჯაჭვლიანი ვიხილოთ.

არსებობს ვარაუდი, რომ მათ გვერდით აღმოჩნდებიან მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი და დიასპორების საკითხების სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ეს ყველაფერი ივანიშვილის პროექტია. ის „ქართული ოცნების“ სახით ამომრჩეველს პროდასავლურ ძალას შესთავაზებს, რომელიც ლიბერალური ღირებულებების მხარდამჭერი იქნება, კონსერვატორებით კი ტრადიციების მოყვარული ქართველების მოხიბვლას შეეცდება.

ჯონდი ბაღათურია: „ოცნება“ და ნაციონალები ხალხს ერთად ძარცვავენ“

„წამლებზე ფასები ოთხჯერ უნდა შემცირდეს“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 14 აპრილს, „ქართული დასის“ ლიდერმა, ჯონდი ბაღათურიამ, პრემიერ-მინისტრს გადასცა მტკიცებულებები ოლიგარქების ფარული, უკანონო გარიგებების შესახებ და კანცელარიის შესასვლელში ჟურნალისტებისთვის ბრიფინგიც გამართა, სადაც ისაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ ძარცვავენ ქვეყნის უმდიდრესი ადამიანები პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს.

„ახალი თაობა“ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა.

– ბატონო ჯონდი, საიდან მოიძიეთ ეს დოკუმენტაცია, რომელიც პრემიერ-მინისტრს გადაეცით?

– ჩვენ დავინტერესდით სააფთიაქო ბაზარზე შექმნილი ვითარებით, სპეკულაციურად მაღალი ფასებით წამლებზე, თუ რამ გამოიწვია ეს და დავიწყეთ სააფთიაქო ბაზრის შესწავლა საქართველოსა და მეზობელ სახელმწიფოში, კერძოდ კი თურქეთში, სადაც რეგიონში ყველაზე მაღალი ფასებია.

– და როგორია შედეგები?

– აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში წარმოებული ერთისა და იმავე კომპანიის მიერ წარმოებული წამალი საქართველოში 300-400%-ით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე თურქეთში. მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ჩვენ განვახორციელეთ საკონტროლო შესყიდვები და აღმოჩნდა, რომ ფრანგული წარმოების წამალი არისეფტი თურქეთში, ქალაქ რიზეს აფთიაქში ღირს 37 ლარის ეკვივალენტი, საქართველოს უკლებლივ ყველა აფთიაქში კი – 125 ლარი. განსხვავება თითქმის 400%-ია.

– ეს წამალი რისთვის გამოიყენება?

– ის სისხლის მიმოქცევას არეგულირებს და მას ხშირად მოიხმარენ ძირითადად პენსიონერები ისეთი მძიმე დაავადებების მერე, როგორებიცაა ინსულტი, ანევრიზმა და ასე შემდეგ. ასევე კარტანი, რომელიც სისხლის მიმოქცევას არეგულირებს და რომელსაც ძირითადად ასაკოვანი ადამიანები მოიხმარენ, თურქეთში ღირს 8 ლარი და 15 თეთრი, საქართველოში – 28-30 ლარი. აქ უკვე 300-32%-იანი განსხვავებები გვაქვს.

– რატომ არის ამხელა სხვაობა და ჩვენთან ასეთი მაღალი ფასები?

– საქართველოს სააფთიაქო ბაზარზე მოქმედებს ოთხი მსხვილი კომპანია. აქედან ორი კომპანია ეკუთვნის ნაციონალურ მოძრაობას და აფინანსებს ამ პარტიას, ორი კომპანია ეკუთვნის და აფინანსებს „ქართულ ოცნებას“. მიუხედავად ასეთი პოლიტიკური განსხვავებისა, ამ ოთხმა კომპანიამ შეძლო და მათ შორის მოხდა ფარული გარიგება.

– რაზე გარიგდნენ?

– გარიგება ფასებზე! გვაქვს ვითარება, რომლის მიხედვითაც ოლიგარქები, ქვეყნის უმდიდრესი ადამიანები, დებენ ფარულ უკანონო გარიგებას, რომ წარმატებით განახორციელონ ხალხის ძარცვა და დააწესონ წამლებზე სპეკულაციურად მაღალი ფასები. ამას სამართლის ენაზე ჰქვია კარტელური შეთანხმება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია და რომლის მიზანიც არის ხალხის ძარცვა!

– გამოდის, რომ „ოცნება“ და ნაციონალები ამ საქმეში პარტნიორები არიან?

– რა თქმა უნდა, ასეა. ისინი ამ სფეროში გარიგებული არიან. ჩვენ მსგავსი ღონისძიება განვახორციელეთ ბენზინის ბიზნესშიც. იქაც ორი კომპანია ნაციონალებს აფინანსებს და დანარჩენი „ოცნებას“ ეკუთვნის. იქაც იგივე მდგომარეობაა. იქაც შეხმატკბილებულად იყოფდნენ ბაზარს და ძარცვავდნენ ხალხს.

ჩვენი კვლევების საფუძველზე, იმ დროს ღარიბაშვილი იყო პრემიერ-მინისტრი, ვაიძულეთ, ეს კომპანიები დაჯარიმებულიყვნენ და იმ პერიოდში ბენზინზე ფასებიც შემცირდა 60 თეთრით. ახლაც ზუსტად იმავეს მოვითხოვთ, თუმცა, ერთი განსხვავებით, ახლა ასევე სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც მოვითხოვთ!

– ამ კომპანიების წინააღმდეგ?

– რასაკვირველია. კარტელური შეთანხმება სისხლის სამართლის დანაშაულია და ეს კომპანიები აუცილებლად უნდა დაჯარიმდნენ! ხალხისგან უკანონოდ ამოღებული ფული უნდა დაბრუნდეს ბიუჯეტში და მოხმარდეს სოციალური პროგრამების დაფინანსებას, ხოლო ამ ოლიგარქებმა, რომლებიც თან პოლიტიკოსები არიან და თან – უმდიდრესი ბიზნესმენები, რომლებიც პოლიტიკურ ინსტრუმენტებს იყენებენ უკანონო გამდიდრებისთვის, პასუხი უნდა აგონ!

საქართველოს სააფთიაქო ბაზარზე მოქმედებს ოთხი მსხვილი კომპანია. აქედან ორი კომპანია ეკუთვნის ნაციონალურ მოძრაობას და აფინანსებს ამ პარტიას, ორი კომპანია ეკუთვნის და აფინანსებს „ქართულ ოცნებას“. მიუხედავად ასეთი პოლიტიკური განსხვავებისა, ამ ოთხმა კომპანიამ შეძლო და მათ შორის მოხდა ფარული გარიგება

– რამდენად მიაღწევთ ყოველივე ამას?

– წინა პრემიერის დროს ნაწილობრივ გამოგვივიდა. მაშინ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბაშვილმა ჩვენი კვლევების საფუძველზე გადასცა მასალები ანტიმონოპოლიურ სამსახურს. ამ სამსახურმა ეს კომპანიები დააჯარიმა 50 მილიონით, ხოლო კომპანიები ჩვენი აქციების ფონზე იძულებულნი გახდნენ, თითქმის 60 თეთრამდე დაეწიათ ბენზინზე ფასი. ასეთივე უკანონო ფასნამატია სააფთიაქო ქსელში წამლებზე. აქ 400%-ზეა საუბარი. ჩვენ კვირიკაშვილს უკვე გადავეცით საკონტროლო შესყიდვის ქვითრები.

– როგორია პრემიერ-მინისტრის პოზიცია?

– ჯერჯერობით არა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს. მე მზად ვარ, ვითანამშრომლო ამ კუთხით მასთან.

– მედიკამენტების გაიაფების კუთხითაც თუ გამართავთ საპროტესტო აქციებს?

– რა თქმა უნდა. თუმცა ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს პრემიერ-მინისტრთან, მიგვაჩნია, რომ ის არაკორუმპირებული და კვალიფიციური ადამიანია, ამიტომ, იმედი მაქვს, ამ კუთხით ვითანამშრომლებთ. თუ ვნახეთ, რომ ის შექმნილი ვითარების მძევალი აღმოჩნდა, პოლიტიკურ აქტივობას არ გამოვრიცხავთ.

731 ათასი პენსიონერი, 200 ათასამდე სოციალურად დაუცველი, 600 ათასი ადამიანი, რომლებსაც განცხადება აქვთ დაწერილი და სოციალურ დახმარებას ითხოვენ – ეს ორ მილიონამდე ადამიანი ფეხზე დადგება იმ მოთხოვნით, რომ წამლები გაიაფდეს!

წამლებზე ფასები ოთხჯერ უნდა შემცირდეს. თურქეთში პენსიებიც მაღალია, ხელფასებიც, ეკონომიკური მდგომარეობაც. ლოგიკურად, იქ უფრო ძვირი უნდა ღირდეს წამლები, არადა, ჩვენთანაა ძვირი, თანაც 400%-ით! ჩვენთან ადგილი აქვს შეთქმულებას ხალხის წინააღმდეგ! თუ თანამშრომლობის გზით არაფერი გამოვა, მაშინ ხალხს მოვუწოდებთ, ქუჩაში გამოვიდეს და იქიდან მოითხოვოს სამართლიანობა!

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მარგველაშვილმა „ქართული ოცნება“ ისევ გააბრაზა

როდის დაიწყება საარჩევნო კამპანია – მაისში თუ ივლისში?

შორენა მარსაგიშვილი

პრეზიდენტსა და მთავრობას შორის სიამტკბილობა დასრულდა. მათ შორის განხეთქილების მიზეზი არჩევნები გახდა. პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გიორგი მარგველაშვილს თხოვნით მიმართა, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ახალი განკარგულება ივლისში გამოსცეს.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, უმჯობესი იქნება, თუკი ეს 8 ივლისს, არჩევნებამდე 3 თვით ადრე მოხდება.

– არჩევნების 8 ოქტომბერს ჩატარება გადაწყდა კონკრეტული მიზეზების გამო. იყო გარკვეული იურიდიული ხარვეზი, ადმინისტრაციის მხრიდან არ მოხდა დროული და კორექტული ინფორმაციის მიწოდება. ამიტომ ჩვენ დღეს ვაგზავნით მოტივირებულ შენიშვნებს, რომ პრეზიდენტის მხრიდან არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ განკარგულების წარმოდგენა მოხდეს ისეთ დროს, რომლის გამოქვეყნებაც დაემთხვევა ჩვენი მხრიდან კონტრასიგნაციას.

რაც შეეხება თარიღს, ვინაიდან ამან გამოიწვია ასევე ფართო განსჯა და სამოქალაქო სექტორისა თუ პარტიების მხრიდან გამოითქვა გარკვეული უკმაყოფილება, გვინდა ვთხოვოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, დოკუმენტი წარმოადგინოს ისეთ დროს, რომლის გამოქვეყნებაც დაემთხვევა 8 ივლისს, რათა წინასაარჩევნო პერიოდის ვადად 3 თვე იქნეს განსაზღვრული. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ყველანაირ გაუგებრობასა და სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას თავიდან ავიცილებთ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით კი ის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას 2016 წლის მაისში გამოსცემს. როგორც გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, დოკუმენტი, რომელსაც მთავრობამ ხელი არ მოაწერა, შეთანხმებული იყო თავად მთავრობასთან.

პრეზიდენტის თქმით, თუ მთავრობას ექნება რაიმე პრობლემა ფინანსებთან დაკავშირებით, მზად არის, შეეხიდოს პრეზიდენტის ფონდიდან.

* * *

მარგველაშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის შავი კატის ჩარბენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა პოლიტიკურ სპექტრში.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ამ დაპირისპირებას პოლიტიკურ კეკლუცობას უწოდებს. ის დარწმუნებულია, რომ არც პრეზიდენტსა და არც პრემიერს ხალხი არ ადარდებთ და მხოლოდ იმას ცდილობენ, საკუთარი გაიტანონ.

– ეს არის ჩვეულებრივი ჯიბრი მთავრობას, პრეზიდენტსა და რეალურ მმართველს შორის, რადგან ასეთ გადაწყვეტილებას კვირიკაშვილი არ მიიღებდა ივანიშვილის გარეშე. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ არც პრეზიდენტი და მთავრობა არ ზრუნავს ხალხზე. დაინიშნა არჩევნები, შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთავრობა მისთვის ცუდ მდგომარეობაში დგებოდა, ამიტომ დაიწყო ეს კატათაგვობანა. საბოლოო ჯამში, ეს გადაწყვეტილებაც იმით კი არ არის ნაკარნახევი, რომ ქართველ ხალხზე ზრუნავს, არამედ ნაკარნახევია, რომ თავისი გაიტანოს და გამოჩნდეს ჯინიანი და მაგარი ბიჭი, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

მარგველაშვილის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა მრეწველთა ფრაქციის თავმჯდომარე გოგი თოფაძეც. მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ეს ამბავი კარგად არ დასრულდება.

– ეს ჯიუტობა ძვირი დაგვიჯდება, არ ვეთანხმები ამ ჯიუტობას, მთავრობა არის მთავრობა, იმას თავისი უფლებები აქვს, ამას თავისი და რაც უფრო მალე გადაწყდება ეს თემა, ის ჯობია, – ამბობს თოფაძე.

მისი თანაპარტიელი და მეგობარი ზურაბ ტყემალაძე პრეზიდენტს არასერიოზულობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ არჩევნებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მთავრობას აკისრია.

– ცოტა არასერიოზულ განცხადებებთან გვაქვს საქმე. პრეზიდენტი მარტო ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, ამას სჭირდება კონტრასიგნაცია. შესაბამისად, ამ თემასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას იღებს მთავრობა ანუ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი არის გამტანი და გადაწყვეტილების მიმღები არის მთავრობა, – განაცხადა ტყემალაძემ.

პრეზიდენტს სიჯიუტეში ადანაშაულებს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი გია ვოლსკიც. მისი თქმით, მარგველაშვილი გადაწყვეტილებებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იღებდეს.

– პრეზიდენტი თუ ნებისმიერი სხვა უმაღლესი პირი სახელმწიფოს ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს და არა – თავისი სიჯიუტიდან ან პრინციპულობიდან. ოთხი თვე საკმაოდ ადრეა წინასაარჩევნო რეგულაციების დაწესებისთვის. პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ ვინაიდან კოალიცია აღარ იქნება წინასაარჩევნო ბლოკში, ერთობლივად მათ ბევრი კანონი აქვთ კიდევ მისაღები უმრავლესობის ფორმატში და არ იქნება სასურველი, ჩვენი თანამშრომლობა პარლამენტში შეჯიბრებითობის ფონზე მიმდინარეობდეს.

ძალიან მიკვირს, რომ არაფერი გაითვალისწინა და უფრო გამიკვირდება და გულდასაწყვეტი იქნება, თუ ეს ყველაფერი გაითვალისწინა და მაინც გადაწყვეტილება მიიღო. ვიდრე კონტრასიგნება გაკეთდება, ვფიქრობ, კონსულტაციები მართებს, – აცხადებს გია ვოლსკი.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძეკი მიიჩნევს, რომ მარგველაშვილი სხვის ჯიბეში იხედება. მისი თქმით, ჯინიანობა არც ქვეყანასა და არც ხელისუფლებას სიკეთეს არ მოუტანს.

– მე მგონი, პრეზიდენტი სხვის ჯიბეში არ უნდა იხედებოდეს. მთავრობამ უკეთესად იცის, რამდენი აქვს და რა შესაძლებლობები. ამიტომ მე გამართლებულად მიმაჩნდა, რომ საარჩევნო კამპანია სამი თვით ადრე დაგვეწყო და პრემიერმა თავისი მოსაზრება ნათლად დააფიქსირა. ერთმანეთის ჯინაზე საქმის გადაწყვეტა არ წაადგება არც საარჩევნო პროცესსა და არც ქვეყანას, – აღნიშნა ომარ ნიშნიანიძემ.

მარგველაშვილმა თავისი გადაწყვეტილებით მისდამი შედარებით დადებითად განწყობილი რესპუბლიკელებიც კი აღაშფოთა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი ამ ყველაფერს არაადეკვატურ საქციელად მიიჩნევს.

– რადგან პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, მე მინდა და, თუ არ მეთანხმებით, მაშინ მაისში გამოვცემო, ღიმილის მომგვრელია, იმიტომ რომ მაისში გამოცემულ აქტს თუ პრემიერი არ დაეთანხმება და ხელს არ მოუწერს, პრეზიდენტის ფუჭი გასროლა ვის ემუქრება, ვერ გავიგე. პრეზიდენტის ეს განცხადება არ არის ადეკვატური შექმნილი პოლიტიკური ვითარებისთვის, – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

* * *

პრემიერის გადაწყვეტილებას ვიცეპრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გამოეხმაურა.

როგორც კალაძე აღნიშნავს, სამი თვის ვადა წინასაარჩევნო კამპანიისთვის ნორმალურია.

– მივესალმები იმას, რომ თარიღი წინასწარაა ცნობილი და აღვნიშნავ, რომ სამი თვე ძალიან კარგი ვადაა. ყველა პოლიტიკურ პარტიას, სუბიექტს ექნება საშუალება, სამი თვის განმავლობაში საარჩევნო პერიოდი სრულყოფილად ჩაატარონ, – განაცხადა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრის პოზიციას იზიარებს არასამთავრობო სექტორის ნაწილიც. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარე ეკა გიგაური მიიჩნევს, რომ უმჯობესია, წინასაარჩევნო კამპანია არჩევნებამდე სამი თვით ადრე დაიწყოს, რათა ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხა არ დაიხარჯოს.

– თარიღთან დაკავშირებით ჩვენ პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო კამპანია 5 თვის განმავლობაში არ მიმდინარეობდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიუჯეტიდან კონკრეტული თანხები უნდა გაიხარჯოს. შესაბამისად, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ კამპანია არჩევნებამდე სამი თვით ადრე დაიწყება და ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ პრემიერ-მინისტრს ვეთანხმებით, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

ვახტანგ ძაბირაძე: „პრეზიდენტსა და პრემიერს შორის გაუგებრობა მიუღებელია“

ნათია ხურცილავა



კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არჩევნების თარიღის განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით შეთანხმება უნდა მოხდეს, თორემ პროცესები ჩიხში შევა.

ვახტანგ ძაბირაძე:

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტს აქვს უფლება, ან გაითვალისწინოს პრემიერის შენიშვნები, ან არ გაითვალისწინოს, ან ნაწილობრივ გაითვალისწინოს, მაგრამ, თუ პრემიერისთვის მიუღებელი აღმოჩნდება მაისის თვე, მაშინ ისევ დაუბრუნებს პრეზიდენტს. ამიტომ გამოსავალი არის მოლაპარაკება და შეთანხმება.

– რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ გაითვალისწინებს პრემიერის შენიშვნებს? რამდენჯერ შეუძლია პრემიერს, უკან დაუბრუნოს პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნებით მისი განკარგულება?

– კონსტიტუციაში ეს არ არის განსაზღვრული, განსაზღვრულია ორგანული კანონით. პრეზიდენტი თუ არ გაითვალისწინებს მოტივირებულ შენიშვნებს და ისევ დაუბრუნებს მთავრობას, მთავრობა მას არ მოიწონებს და ხელს არ მოუწერს, მაშინ პრეზიდენტს აღარ ექნება შესაძლებლობა, იგივე აქტი 6 თვის განმავლობაში წარუდგინოს მთავრობას. გამეორებითი უარის შემთხვევაში, მომდევნო 6 თვის განმავლობაში, პრეზიდენტი დაკარგავს უნარს, რომ იგივე აქტი წარუდგინოს მთავრობას. ამიტომ ვამბობ, რომ უკეთესია შეთანხმდნენ და სამართლებრივი ნიუანსები გაითვალისწინონ.

– წინასაარჩევნო პერიოდზე რა გავლენას მოახდენს ენდიაის სოციოლოგიური კვლევები, რა სურათი მივიღეთ?

– ვფიქრობ, ტენდენციები სწორია. კვლევამ ორი მნიშვნელოვანი მომენტი აჩვენა: 1. სამწუხაროდ, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გამოიკვეთა, დანარჩენი ოპოზიცია კი ნაკლებია ამ ორ ძალასთან შედარებით; 2. „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ოცნებამ“ ჩემოდნები უნდა ჩაალაგოს და წავიდეს. ასე ნამდვილად არ არის. მე ვფიქრობ, „ოცნებას“ გააჩნია რესურსი, არჩევნები თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს.

– როგორ?

– ეს დამოკიდებული იქნება მის წინასაარჩევნო კამპანიაზე, იმაზე, თუ რა აქცენტებს გააკეთებენ და როგორი იქნება „ოცნების“ დამოკიდებულება იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ქვეყანაშია. თუ ამ ყველაფერს ნორმალურად გაართმევს თავს, მაშინ „ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში ლიდერი პარტია იქნება და დიდი რაოდენობის წარმომადგენლობა ეყოლება პარლამენტში, თუ უმრავლესობა არა. შეცდომა იყო, როდესაც ლიდერებმა კოალიციის დაშლაზე მიიღეს გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მაინც მივიღებთ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სპექტრს.

– საზოგადოებრივი აზრის კვლევები იძლევა ამის წინაპირობას?

– ამომრჩეველი სოციოლოგიური კვლევის დროს არაგულწრფელია. თუ 2012 წლის ენდიაის კვლევებს გავიხსენებთ, მაშინ არჩევნებმა რადიკალურად განსხვავებული შედეგები აჩვენა. ნაციონალები დამარცხდნენ, კვლევა კი სულ სხვას უჩვენებდა. არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ადამიანები დაშინებული იყვნენ და მათ რეალური არჩევანი დამალეს. ზოგადად ამომრჩეველი მალავს თავის არჩევანს, უფრო ზუსტად კი არაგულწრფელად პასუხობს, თუმცა ის, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნელ-ნელა დაეცა, ფაქტია.

– ენდიაის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ დადეს ზოგადი ტენდენციები, ვინაიდან წინ არის წინასაარჩევნო კამპანია. რამდენად მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო კამპანია არჩევნების მოგებისთვის? მაგალითად, ხშირად ციხის კადრები მოჰყავთ, რაც ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში დამარცხების ერთ-ერთი ფაქტორი გახდა.

– ციხის კადრებმა იმუშავა, მაგრამ იმუშავა არა ამომრჩეველზე, რომლისთვისაც ისედაც მიუღებელი იყო ნაციონალური მოძრაობა, არამედ იმაზე, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ამ კადრების შემდეგ ვეღარ გაბედა რეპრესიების განხორციელება, ვეღარ გაბედა არჩევნების გაყალბება. მე კარგად მახსოვს, როგორ ლაპარაკობდა ხალხი არა იმაზე, თუ რა იქნებოდა არჩევნებზე, არამედ იმაზე, თუ რა იქნებოდა არჩევნების მეორე დღეს. ყველა ელოდა რეპრესიული მანქანის გამოყენებას, რაც ნაციონალებს ახასიათებდათ, მაგრამ ასე არ მოხდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დას ახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა განახორციელოს არა უმეტეს 3 წლის ვადაში. არაუგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს შესწავლის მასალები;

ბ) მარაგების დამტკიცებისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდგომ, შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიატი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

დ) თუ სალიცენზიო ფართობზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ნაკლებია აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასზე, ამ შემთხვევაში მეტობით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას;

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ძებნა-ძიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 3 (სამი) წლის ვადაში დახარჯოს არანაკლებ 1 500 000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარი;

ვ) შესწავლის პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 20 ადამიანის) დასაქმება;

ზ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან, შესწავლის პერიოდში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, მის მიერ დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე განახორციელოს გარემოსდაცვითი ღონისძიებები 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში;

თ) შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც დაადასტურებს „ე“ პუნქტში მითითებული თანხის ხარჯვის ანგარიშს.

ი) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

კ) მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობა;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

მ) სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს საბადოს კომპლექსური ათვისება.

ნ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შესწავლის პერიოდში განსახორციელებელი 1 500 000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის თანხის ხარჯვის გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ და დასაბუთებულ ინფორმაციას შესწავლის პერიოდში ჩასატარებელი სამუშაოებისა (ღონისძიებების) და ამ სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯების შესახებ, მათ შორის კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ვადის ხანგრძლივობის თაობაზე. წარდგენილი პირობა გახდება ლიცენზიის ფარგლებში სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომებს.

ო) სახელმწიფო უფლებამოსილია, სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან;

პ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმებით;

ჟ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღების მიმდებარე ტერიტორია, მდ. დომბურულას ხეობაში (ორი უბანი), სასარგებლო წიაღისეულის („დომბურულას“ კვარცი) შესწავლა-მოპოვება.

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღების მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

5 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 15 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 16 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

20 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ირაკლი სესიაშვილი: „პრეზიდენტს სარეზერვო ფონდის ფული საკუთარი ჯიბის ნუ ჰგონია“

ირაკლი სესიაშვილის აზრით, წინასაარჩევნო პერიოდის სამ თვეზე მეტი ვადით წარმართვა ქვეყნისთვის შემაფერხებელია, სამი თვე კი, მისი შეფასებით, სრულებით საკმარისი დროა.

– საკითხს გონივრულად და რაციონალურად უნდა მივუდგეთ. გონივრული და რაციონალურია ის, რომ წინასაარჩევნო პერიოდი, რა დროსაც მთელი რიგი შეზღუდვები წესდება, ხოლო მეორე მხრივ პოლიტიკურ ძალებს გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობები უფართოვდებათ, უნდა იყოს გონივრული. ამ მხრივ აბსოლუტურად გონივრულია სამი თვე.

რაციონალური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ რესურსი ადეკვატურად უნდა გამოვიყენოთ. როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ მზად არის, საარჩევნო ფინანსებს შეეხიდოს, ეს ცოტა არასერიოზული განცხადებაა. პრეზიდენტს სარეზერვო ფონდის ფული საკუთარი ჯიბის ნუ ჰგონია!

სარეზერვო ფონდი, რომელიც პრეზიდენტს გააჩნია, შექმნილია იმისთვის, რომ თანხები განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში იყოს გამოყენებული, რაც ძირითადად სტიქიურ უბედურებებს უკავშირდება.

ის დღეს გამოვიყენოთ და ღმერთმა დაიფაროს, რაღაც მოხდეს, მერე პრეზიდენტმა უნდა გვითხრას, რომ ფული არ აქვს, რადგან არჩევნები ხუთი თვით ადრე დანიშნა და საარჩევნოდ დახარჯა?! ასეთ მიდგომაში არასერიოზულ და ცოტა უპასუხისმგებლო მიდგომასაც ვხედავ. სამი თვე არის ნორმალური, ჯანსაღი და სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ პარტიებმა ამომრჩეველს საკუთარი გზავნილი მიუტანონ და კანონით მინიჭებული საშუალებები გამოიყენონ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი სესიაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებული განკარგულება პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნებით უკან გაუგზავნა და, როგორც გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, წინასაარჩევნო პერიოდად აღებული უნდა იყოს 3 თვე. პრემიერის აზრით, უმჯობესი იქნება, თუკი პრეზიდენტი არჩევნებთან დაკავშირებულ განკარგულებას 8 ივლისს გამოაქვეყნებს.

კალაძე: „საქართველოს სურს, დენი ირანს მიაწოდოს“

ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის განცხადებით, საქართველოს სურს, ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგია ირანს მიაწოდოს.

ამის შესაძლებლობას ქვეყანას ის პროექტი მისცემს, რომელსაც სომხეთი ახორციელებს და რომელიც ახალი ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურის მშენებლობას გულისხმობს.

როგორც კალაძე განმარტავს, ეს პროექტი საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, მეტი ელექტროენერგია გაიტანოს არა მარტო სომხეთში, არამედ ირანსაც მიაწოდოს დენი.

როგორც კალაძემ აღნიშნა, ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს, სომხეთს, ირანსა და რუსეთს შორის გაფორმდა და რომელიც ენერგოსისტემის სინქრონიზაციას ითვალისწინებს, საქართველოს ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას მისცემს.

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. მე მოხარული ვიქნები, თუ შევძლებთ, სრულყოფილად განვახორციელოთ ეს პროექტი. ეს ითვალისწინებს ელექტროენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობას ირანის მიმართულებით. ირანი არის ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარი, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას სანქციები მოეხსნა, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, დღეს ჩვენ ელექტროენერგიით ვაჭრობა გვაქვს ერთი მიმართულებით – ეს არის თურქეთი. მცირე მოცულობებით, მაგრამ მაინც ხორციელდება ვაჭრობა სომხეთის მიმართულებით.

– ჩვენ გვაქვს ასევე მჭიდრო და კარგი ენერგეტიკული კავშირები რუსეთთან, აზერბაიჯანთან, თუმცა, კარგი იქნებოდა, თუ უფრო გავაძლიერებდით ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის კუთხით გარკვეულ პროექტებს, – აღნიშნა კალაძემ.

სომხეთთან არსებული დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უფრო მეტი მოცულობით განვახორციელოთ ელექტროენერგიის გადატანა-გადმოტანა. სომხეთი მუშაობს ახალი ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურის მშენებლობის პროექტზე, რომელიც 2017 წლისთვის უნდა დასრულდეს.

– ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენ გვექნება უფრო მეტი შესაძლებლობა ინვესტორებისთვის, რომ ელექტროენერგიით ივაჭრონ არა მხოლოდ სომხეთის მიმართულებით, არამედ სომხეთის გავლით ირანის მიმართულებითაც, – აღნიშნა კალაძემ.

კომერსანტ.ge

გიორგი ვაშაძე: „ჩვენ 13%-ზე მეტ შედეგს ველოდით“

ნონა ცაბაძე

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვაშაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ენდიაის კვლევებს ეხმიანება.

– ბატონო გიორგი, „ოცნების“ ლიდერები კვლევას უნდობლობას უცხადებენ და მიაჩნიათ, რომ ეს მაჩვენებელი არასწორი და არარეალურია. რას იტყვით თქვენ?

– არასწორი და არარეალური ის არის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება. საერთოდ, „ქართული ოცნება“ რომ დღეს ხელისუფლებაშია, ესეც არასერიოზული და არასწორი მგონია, თუ არასწორობაზე ვილაპარაკებთ. ეს მიდგომები კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს, ხალხის მოსაზრებები მოისმინოს, თვალი გაუსწოროს იმ რეალობას, რომელიც არის დღეს ქვეყანაში.

მათთვის მთავარია ბიძინა ივანიშვილის აზრი და სულ არ აინტერესებთ საზოგადოებრივი აზრი. ეს კვლევები ჩემთვის ძალიან ბევრის მთქმელია და ჩვენ დიდ ყურადღებას მივაქცევთ ყველა იმ საკითხსა და პრობლემას, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებმა დასვეს.

– არც 13%-ია სახარბიელო, თუმცა მოვისმინეთ ოპონენტების შეფასებები, რომ ესეც მომატებულია და არც ამდენპროცენტიანი მხარდაჭერა გაქვთ. ამაზე რას იტყვით?

– მე უფრო მეტს ველოდებოდი ჩვენს რეიტინგს. ეს კვლევა ცოტა ადრეა გაკეთებული, სანამ „ქართული ოცნება“ ჩამოიშლებოდა. ასევე ჩვენ გვქონდა გარკვეული აქტივობები ბოლო პერიოდში, მოსახლეობას აქტიურად ვხვდებით. ამიტომ ვთვლი, რომ ეს პროცენტი აუცილებლად გაზრდილი იქნება.

– რის ხარჯზე იქნება გაზრდილი?

– შესაბამისი სტრატეგია გვაქვს. აქტიურად ვმუშაობთ, როგორ მივაწვდენთ მოსახლეობას იმ საქმეს, რომელიც გასაკეთებელია და რომელიც მიზნად გვაქვს დასახული.

– ეს განწყობები, რომლებიც ამ ეტაპისთვის გამოქვეყნდა, არჩევნებზეც იქნება შენარჩუნებული თუ ელით ცვლილებებს?

– ენდიაის კვლევები მიუთითებს, რომ „ოცნება“ ოქტომბერში დამარცხდება. ეს არის ბოლო წლების ტენდენცია. 60%-ზე მეტი ჰქონდათ რეიტინგი და დღეს მათი რეიტინგი ძალიან დაბალია. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც აქ არის, დიდია გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა. თუ გავითვალისწინებთ იმ პრობლემებს, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს, მე ვფიქრობ, რომ „ოცნებას“ იმის რესურსი არ აქვს, რეიტინგი გაზარდოს, ხოლო ვისაც აქვს რესურსი, ეს არის ნაციონალური მოძრაობა.

– რის ხარჯზე? როგორ აპირებთ ამომრჩევლის გულის მოგებას?

– ჩვენ სერიოზული საარჩევნო პროგრამა გვაქვს. უკვე შექმნილი გვაქვს სამართლებრივი გარანტიები, რომ ადამიანის უფლებები იყოს გარანტირებული და დაცული საქართველოში, რომ ვერასდროს ვერცერთმა ჩინოვნიკმა ვერ შეძლოს პოლიტიკურ იარაღად თუ საკუთარი ინტერესებისთვის სახელმწიფო მძლავრი მექანიზმების გამოყენება. ეს არის სასამართლო რეფორმა, სადაც ჩვენ გვაქვს რადიკალური რეფორმის გეგმა.

– ბატონო გიორგი, 9 წელი იყავით ხელისუფლებაში. ახლა რომ იძლევით ამ დანაპირებს, როცა ყველაფერი თქვენს ხელში იყო, მაშინ რატომ არ განახორციელეთ ეს ყოველივე?

– ეს ძალიან მარტივი საკითხია, რომ დროსა და განვითარებას მოაქვს ახალი მოსაზრებები, ახალი იდეები. მაშინ არ იყო მზაობა, ამ ყველაფერს მოფიქრება უნდა. თუ თქვენ გგონიათ, რომ იუსტიციის სახლი ერთი ღამე დავიძინეთ, გავიღვიძეთ და უცებ ეს ამხელა, უზარმაზარი კონცეფცია გვქონდა მოფიქრებული, ძალიან ცდებით. ეს არის დრო, ეს არის ადამიანების ჩართულობა, ეს არის ფიქრი ამ პრობლემებზე და სწორედ 2012 წლის დამარცხებამ ჩვენ მოგვცა შესაძლებლობა, რომ კარგად დავფიქრებულიყავით, სად იყო რეალურად პრობლემა.

– და ფიქრმა რა დასკვნამდე მიგიყვანათ?

– სწორედ ამ ფიქრის შედეგად გვაქვს რამდენიმე ახალი ინიციატივა. ერთი ის, რომ ეკონომიკური პროგრამა გვაქვს სრულიად განახლებული. მეორე არის პოლიტიკური ტიპის ორგანოების, მაგალითად, სუსის გაუქმება. ეს არის კაგებეს ტიპის ორგანიზაცია და ის აუცილებლად უნდა გაუქმდეს და სასამართლო რეფორმა, სადაც ინსტიტუციურ გარანტიას ვაძლევთ თითოეულ მოქალაქეს, რომ მისი უფლებები იქნება დაცული.

ასევე ეს ბაღების სააგენტოები და ასეთი ტიპის ორგანოებიც უნდა გაუქმდეს, რომ არ არსებობდეს ეს პოლიტიკური წნეხის და პოლიტიკური ზეწოლების იარაღი.

– რამდენად დაივიწყებს ამომრჩეველი იმ 9-წლიან წნეხს და რამდენად წამოგყვებათ? გაქვთ ამის იმედი?

– საუბარიც აღარ ღირს ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ინსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიები მივცეთ მოქალაქეებს იმასთან დაკავშირებით, რომ ვერავინ ვერასდროს გაბედოს კანონის საკუთარ თავზე მორგება.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარების რეგულაციები მალე ამოქმედდება

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევის რეგულირების შესახებ ცვლილებები მალე ამოქმედდება.

ასე უპასუხა მინისტრმა „კომერსანტის“ შეკითხვას, თუ რატომ არ მოხდა ამ დრომდე თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის აღსრულების მექანიზმების ამოქმედება მაშინ, როდესაც რეგულაციების ამოქმედება ჯერ კიდევ 2013 წელს იყო დაანონსებული.

მინისტრის თქმით, აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით სულ 2 საკითხი რჩება დასაზუსტებელი, რის შემდეგაც რეგულაციები მალე ამოქმედდება.

– თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი არსებობდა, თუ არ ვცდები, 2010 წლიდან. არ იყო განსაზღვრული ამ კონტროლის ადმინისტრირების საკითხები. ამ მხრივ რამდენიმე ათეული, შეიძლება 100-მდე საკითხი იყო დასაზუსტებელი: ვის, როგორ, გარდამავალი შეზღუდვა, ნაწილობრივი შეზღუდვა და ა.შ.

უკლებლივ ყველას გაეცა პასუხი, რჩება 2 ტექნიკური საკითხი, რომელზეც, ვფიქრობ, მალე დასრულდება მუშაობა და ეს რეგულირება უკვე ამოქმედდება, – აცხადებს დავით სერგეენკო.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ-გე

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ბურჯანაძის პარტია ამერიკისთვის მიუღებელია“

„ენდიაის კვლევები სამართლებრივად უნდა შეფასდეს“

გულიკო ბალაძე

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** აცხადებს, რომ ენდიაი საქართველოში პოლიტიკურ ინტერვენციას ეწევა.

– როდესაც ენდიაის კვლევები გამოქვეყნდა, ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა სახემ განაცხადა, რომ ამ კვლევებით ერთი მთავარი, დადებითი და მნიშვნელოვანი შედეგი გამოჩნდა – დემოკრატიული მოძრაობა პოლიტიკური რუკიდან გაქრა. რას იტყვით ენდიაის კვლევებსა და ამ განცხადებაზე?

– ენდიაი საქართველოში პოლიტიკურ ინტერვენციას ეწევა. ეს შეიძლება შეფასდეს როგორც პოლიტიკურად, ასევე – სამართლებრივად. საზოგადოება ძალიან კარგად მიხვდა, ვის დაკვეთას ასრულებს ენდიაი. იგი არის ამერიკული სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაცია. მისი დამფუძნებელია აშშ-ის კონგრესი. მის უკან არიან დღეს პოლიტიკურ სათავეში მყოფი დემოკრატები.

– პოლიტიკური ინტერვენცია რით გამოიხატება?

– ეს არის აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის სასურველი აზრის შექმნა და თავს მოხვევა საზოგადოებისთვის იმ სახითა და ფორმით, რა ფორმითაც აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობა წარმოიდგენს საქართველოს პოლიტიკურ მომავალს. ასეთი პოლიტიკური მომავალი გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის გარეშე ამერიკელების სანუკვარი ოცნებაა. ისინი არ ერიდებიან კვლევის ფალსიფიკაციასაც კი ყველაზე უფრო უხეში მეთოდებით. ამისთვის გამოყენებულია სამსაფეხუროვანი სისტემა.

– კერძოდ?

– კვლევის დამკვეთი არის შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, კვლევის მიმღებია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ხოლო კვლევის სამუშაოების შემსრულებელი – ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული კავკასიური კვლევის ცენტრი – სი-არ-არ-სი, რომლის დირექტორი გახლავთ საქართველოს პარლამენტის უმცირესობის წევრ თარხნიშვილის მეუღლე, ქალბატონი ზურაბიშვილი.

– იმ თარხნიშვილის, რომელიც ნაცების დროს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ და ოპოზიცია არჩევნების გაყალბებას სდებდა ბრალად?

– რა თქმა უნდა. ბოლო არჩევნების შედარება რომ გავაკეთოთ – ჯერ კიდევ 2010 წლიდან დაწყებული, ყველა არჩევნებში, რომლებშიც კვლევებს აწარმოებდა ენდიაი საქართველოში დაფუძნებული კავკასიური კვლევების ინსტიტუტის დახმარებით, იყო 100%-იანი, 200%-იანი და 300%-იანი ცდომილებებიც კი, როგორც 2010, 2012, 2014 წლებში.

პირადად მე გახლდით 2014 წელს თბილისის მერობის კანდიდატი და როგორც დღეს გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა გაიქრეს რადარებიდან, ისე გამაქრეს მეც. საერთოდ არ მახსენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გაყალბებული არჩევნების პირობებში ცესკომ ბიულეტენების 17% ბათილად ცნო, 11% მაინც ავიღე. ენდიაი გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას 1,4%-ს უწინასწარმეტყველებდა 2014 წლის არჩევნებამდე 1 თვით ადრე, შედეგი კი დაიდო 12%-ის ნიშნულით.

ეს რაზე მეტყველებს? ენდიაის ქმედებები საქართველოში აუცილებლად უნდა შეფასდეს სამართლებრივადაც. ეს არის საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანისთვის პოლიტტექნოლოგიების გამოყენება.

– 2014 წლის არჩევნების შემდეგ თქვენი რეიტინგი არ შეიძლებოდა დაცემულიყო?

– რეიტინგის დაცემა-ამაღლებაზე კი არ ვსაუბრობ, არამედ ტენდენციაზე, რომელსაც ენდიაი თავისი კვლევებით წარმოგვიდგენს. დღეს დემოკრატიული მოძრაობის მიმართ გაცილებით მეტი ინტერესია საზოგადოებაში, ვიდრე ოდესმე იყო. ამიტომ ენდიაის შედეგები ნდობას არ იწვევს და მისი ჭკვიანი თვალებით განხილვა საკუთარი საზოგადოების შეურაცხყოფაა.

– ახლანდელი გამოკითხვებით, ბაქრაძეს ლიდერებს შორის ყველაზე დიდი რეიტინგი აქვს. ბაქრაძეს ნინო ბურჯანაძეზე დიდი რეიტინგი აქვს?

– არ ვაპირებ ბაქრაძეზე საუბარს. არავითარი შეხება ამ რეიტინგს რეალობასთან არ აქვს. ბაქრაძე არის მრავალჯერადი გამოყენების პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც ენდიაი იყენებს ყველა თავის კვლევაში.

– რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ იმ ამერიკული პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს, რომლებიც, თქვენი აზრით, მსგავს შედეგებს უკვეთენ?

– ამერიკული პოლიტიკური წრეების ინტერესი კარგად ჩანს კვლევის შედეგებში. აქ კარგად ჩანს, რომ ისეთი ეროვნული პოლიტიკური ძალა, როგორიც არის გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, ამერიკული მმართველი პოლიტიკური წრეებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან ის ეწინააღმდეგება ეროვნული ღირებულებების პარტიათა კონსოლიდაციას.

– მინიშნება იყო, თითქოს იმიტომ ვერ მიიღო თქვენმა პარტიამ ხმა ამ კვლევისას, რომ პრორუსული ძალები მცირდება საქართველოში.

– საუბარი იმაზე, რომ თუ პრომამერიკელი არ ხარ, ე.ი. ხარ პრორუსი, საზოგადოების შეურაცხყოფაა. როგორც ჩანს, დასავლეთში ვერავის წარმოუდგენია, რომ შეიძლება არსებობდნენ პროეროვნული, პროქართული ძალები, რომელთა რიცხვში ჩვენი პარტია ერთ-ერთი თვითმყოფადი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ქმნის ახალ პოლიტიკურ მიზიდულობის ცენტრს ეროვნული ძალების კონსოლიდაციისთვის. როგორც ჩანს, დასავლელი პარტნიორებისთვის ეს მიუღებელია.

– ანუ ენდიაი ახდენს ისეთი ძალების დისკრედიტაციას, როგორიც თქვენი პოლიტიკური ძალაა?

– დიახ, რადგან ჩვენს ძალაში ხედავენ ყველაზე დიდ საფრთხეს. რამდენადაც დიდია ეს საფრთხე, იმდენად მაქსიმალურად ცდილობენ, პროცენტიც კი არ დაგვიწეროონ.

გახლდა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით) კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 70 000 მ³/წელიწადში.

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

2 263 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

226,3 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

1 332 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 15 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 16 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №14

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ქ. ხაშურის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ქ. ხაშურის ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

118 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

11,8 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

259 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 15 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 16 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №15

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოდისწყაროს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 14 600 მ³/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოდისწყაროს ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

472 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

47,2 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

436 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 15 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 16 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ გ. მარგველაშვილს
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს
ბატონ დ. უსუფაშვილს
საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ გ. კვირიკაშვილს

საქართველოს საზოგადოებას

წარმოდგენილი საარჩევნო სისტემის სქემა განსახილველად წარგედგინათ 20.11.2015 წ., რომლის ეკონომიკური სამართლებრივი საკითხები სრულ შესაძლებლობას იძლევა მისი რეალიზაციისა, რომელსაც რეკომენდაცია მისცეს სამეცნიერო დაწესებულებებმა, სამინისტროებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, სტუდენტებმა, ცესკომ და ასე შემდეგ. საჭიროა, რეგიონების საინიციატივო მხარდამჭერთა ჯგუფმა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები წარმოდგენილი კანონპროექტის მიმართ ამა/წლის 1 ივნისამდე, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული სქემის მიხედვით არჩევნების ჩატარება.

თქვენი დამოკიდებულების შესახებ გთხოვთ გვაცნობთ წერილობით თბილისი, 0167, გლდანი VIII მ/რ, კორპუსი IX, მობ. 558 66 03 51, 555 473 336, E-mail: leri_chachibaia@mail.ru, Facebook: Leri_Qartuli Siaxleebi Chachibaia

პატივისცემით, შპს „ტექნიკის ტექნოლოგიის“ ეკონომიკის მართვის პრობლემების დანერგვის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაია

სახელმწიფოს მართვის სრულყოფის საკითხები

ნებისმიერი ფორმაციისთვის აუცილებელია საზოგადოების კონსოლიდაცია და არა დაპირისპირება, როდესაც საზოგადოება ირჩევს მმართველობის ორგანოებს, მას უნდა დარჩეს სახელმწიფოს კონტროლის ფუნქცია რაღაცა ფორმით, რომ თავიდან ავიცილოთ დაუმთავრებელი დაპირისპირებები, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოების მიმდინარე პროცესებზე. დაპირისპირება მეტწილად მართვის სისტემების სისუსტეზე მიუთითებს.

საჭიროა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია, სადაც გაერთიანდება პოლიტიკური პარტიები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები, არასამთავრობო სტრუქტურები, რელიგიის წარმომადგენლები და სხვა. მათი წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში 50%-ით უნდა განისაზღვროს.

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და საზოგადოების ერთიანი სახით წარმოდგენა ხელს შეუწყობს მართვის სრულყოფას. მართვის სისტემის ავტონომიებად დაყოფამ ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. საზოგადოებას უნდა გადაეცეს მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციები. რადგან სახელმწიფო არ იქნება საზოგადოების გარეშე, საზოგადოება არ იქნება ეკონომიკის, მართვის, რელიგიის, ტერიტორიის გარეშე და ა.შ. რომ ჩამოყალიბდეს რეგიონულ ჭრილში ერთიანი მართვის სისტემა, ის უნდა იქნეს შესწავლილი ცალკეულ ელემენტებად რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კონსოლიდაციის ამოსავალი წერტილი იქნება, რომ პიროვნებამ არჩევით ორგანოებში დაიკავოს ღირსეული ადგილი თავისი ღირებულებების შესაბამისად. საზოგადოების ერთიანი „ფონის“ შექმნა ხელს შეუწყობს, წინასწარ მიზანმიმართულად შევარჩიოთ კადრები თავისი შემოქმედების მიხედვით და არა ისე, რომ რის შედეგს დიდი ხანია ვიმკით თითქმის ყველა დარგებში. ქვეყნის მართვა ძირითადად კანონს, თვითშეგნებას უნდა ეფუძნებოდეს. კანონიერების განმტკიცება, მუშახელის დასაქმება, კვალიფიცირებული კადრები ქვეყანას გამოიყვანს არსებული კრიზისიდან და სხვა. გამოსავალი წარმოების დონის ამაღლებაში უნდა ვეძიოთ, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საშუალო ფენის დასაქმებას, ახალი ტექნიკის ტექნოლოგიების დანერგვას და სხვა.

კონსოლიდაციის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევა არჩევნების კანონიერად ჩატარება. საარჩევნო სისტემა უნდა ემყარებოდეს პიროვნების, ღირებულებების გამოვლენას, რომ ღირსეულმა დაიკავოს შესაფერისი ადგილი. არავის უნდა მიეცეს უფლება, რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საარჩევნო სისტემაზე, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის აღმშენებლობაზე. უნდა აღმოიფხვრას ამომრჩეველთა დაინტერესება პრივილეგიების მოსაპოვებლად.

დღევანდელი საარჩევნო სისტემა ვერ პასუხობს სახელმწიფოს მართვის მოთხოვნებს, რის შედეგადაც ხდება დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის და ა.შ. რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის აღმშენებლობაზე. მოტივი იმისა, რომ პარლამენტარი და მოხელე ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, სათავე ჩვენშია. სისტემა, რომელიც ორიენტირებულია წასვლა-მოსვლაზე, თუ არ შეიცვალა, ქვეყანა ვერ განვითარდება. ისმის კითხვა, მაინც რა არის ის პრობლემა, რომელიც ვერა და ვერ წყდება, გარდა პირადი ინტერესებისა, რაც იწვევს ქვეყანაში აზრთა სხვაობას. მას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას.

ძალთა კონსოლიდაცია, სახელმწიფოს მართვა უნდა მოხდეს პერიფერიიდან ცენტრისკენ და არა პირიქით. ე.ი. სახელმწიფო არ უნდა იმართებოდეს გარედან, სხვა რიგი საკითხებიც სრულყოფას მოითხოვს. დემოკრატიისა და ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად რთულია სახელმწიფოს მართვა.

ამ მიზნით საჭიროა შეიქმნას უმაღლესდამთავრებულ პირთა მომზადებისთვის სახელმწიფოს მართვის მეცნიერებათა აკადემია. გამოსავალი ინტელექტუალურ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. მართვის სისტემების ავტონომიებად დაყოფამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის აღმშენებლობაზე. აღნიშნული აკადემია მოახდენს სახელმწიფო მოხელის მომზადებას ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინებით. მათი წარდგენა უნდა ხდებოდეს რაიონული გამგეობის მიერ (ერთი ან ორი კანდიდატისა), მანამ, სანამ არ შეიქმნება საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ორგანო, რაიონული მოსახლეობის წარდგენის შესაბამისად, რომელიც მისაღები გამოცდის ჩაბარების შემდეგ გახდება „კურსანტი“, რომლის არჩევა მოხდება დამთავრების შემდეგ იმავე რაიონში ან გაუთვალისწინებელ პირობებში სხვაგან და ა.შ., აკადემიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემის კოორდინაცია ორგანიზაციული საკითხის გათვალისწინებით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ორგანოს წინაშე.

ასეთი ფორმით საკითხის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს, მუდმივად გამოთანაბრებულად მომზადდეს კადრები, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის აღმშენებლობაზე. მინიმუმამდე შემცირდება გარეშე პირთა ჩარევა. დღეს აღნიშნული პრობლემა მეტად მწვავედ დგას კაცობრიობის წინაშე.

როგორც ჩვენთან, ისე მთელ მსოფლიოში საარჩევნო სისტემა სრულყოფას მოითხოვს, რადგან ის ვერ პასუხობს მასზე დაკისრებულ მოთხოვნებს, რომ სახელმწიფო გამოიყვანოს კრიზისიდან. ხელისუფლებამ ნებისმიერი ფორმაციის პირობებში ადამიანს უნდა შეუქმნას ნორმალური საცხოვრებელი გარემო. ნაცვლად მართვის სისტემების გაუმჯობესებისა, ვიღებთ პარტიებს შორის დაუმთავრებელ დაპირისპირებებს, რაზედაც იხარჯება დრო, ენერგია, სახსრები... ეს კი ქვეყნის აღმშენებლობაზე უარყოფითად აისახება. პარტიებში, უწყებებში, საზოგადოების ცალკეულ ფენებში რომ მოხდეს ძალთა გადანაწილება ცენტრიდან პერიფერიისკენ, ამ მიზნით საჭიროა, უპირატესობა მიენიჭოს მათ შემოქმედებით საქმიანობას, სახელმწიფოს მართვის სათავეში მოვიდეს ღირსეული, რომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში შემოქმედებითი გარემოს შექმნას, რომ ღირსეულმა დაიკავოს ღირსეული ადგილი და არა რიგითმა პიროვნებამ.

– ყველა რაიონის მიხედვით პარლამენტის ფორმირებისთვის ხუთმილიონიანი მოსახლეობისთვის საკმარისი იქნება 200-250 დეპუტატი (ანუ სახელმწიფო მოხელე), რის შედეგად იქმნება საპარლამენტო და სამთავრობო „ფონდი“, – იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტზე მეტს მიიღებს, უმრავლესობის პრინციპით ის არჩეულ უნდა იქნეს დეპუტატად.

– იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატობის კანდიდატები მიიღებენ ხმათა 50 პროცენტზე ნაკლებს, არჩევნებში მათ შორის უნდა მოხდეს ურთიერთარჩევა ხმათა უმრავლესობის პრინციპით ან გათამაშებით;

– კანდიდატი პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიიღებს ამომრჩევლების 50 პროცენტზე მეტ ხმას;

– იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ ხმათა უმრავლესობის პრინციპით;

– იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი 50 პროცენტზე მეტ ხმას მისცემს პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოყენებულ კანდიდატს, კანდიდატი ხმათა უმრავლესობის პრინციპით უნდა იქნეს არჩეული პრეზიდენტად;

– იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობის პრინციპით. საგანგებო სიტუაციაში პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის საარჩევნო ხარისხის ამაღლების მიზნით, „ელიტის“ მისაღებად არსებული 250-კაციანი პარლამენტის ანუ სამთავრობო ფონდიდან უნდა მოხდეს 50 პროცენტის გადარჩევა, ე.ი. 125 კაციდან ისევ ხდება 63-ის არჩევა, რომლებიც, თავის მხრივ, აირჩევენ სამ კანდიდატს – პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს. მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოხდეს „გათამაშების“ მიხედვით თანამდებობის დაკავება.

მეტად მნიშვნელოვნად გვესახება საარჩევნო ბიულეტენის ახალი ფორმის შემოღება, სადაც აღნიშნული იქნება დეპუტატობის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის კანდიდატის დასახელება. ბიულეტენს ორივე მხარეს ექნება (იდენტური ნომერი) აღნიშნული ამომრჩევლის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და თანამდებობის მაჩვენებლები. კანდიდატის არჩევისას ამომრჩეველი ბიულეტენის მარცხენა ნაწილს დაიტოვებს. დავის შემთხვევაში ის თავისი ნომრით დაამტკიცებს, თუ ვის მისცა ხმა.

„დიფერენციულ მიდგომას“ მოითხოვს პრემიერ-მინისტრის არჩევა. თავისი სპეციფიკურობისა და სირთულის მიხედვით, მასზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მართვის საკითხი. მინისტრთა, ასევე მათი პირველი მოადგილეების მიერ უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის არჩევა. არჩევანში პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეძლევა 15 ხმა, პარლამენტის სპიკერატს, კომიტეტის თავმჯდომარეებს კი – შესაბამისობის მიხედვით. პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას გამონაკლის შემთხვევაში ეძლევათ პრემიერ-მინისტრის კანდიდატის წარდგენის უფლება.

დაუშვებელია, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პიროვნებებს დაუწესდეთ ზღვარი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. არჩევნები თავისთავად შერჩევა-გადარჩევაა. მასზე ზღვარის დაწესება დაუშვებელია. ობიექტურად არჩევნების ჩატარების პირობებში სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. ყველაფერი იქით უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი აზრის გაერთიანებას მივაღწიოთ. ამავე სისტემით შეიძლება ავირჩიოთ რაიონის გამგებელი, მერი, მინისტრი და ა.შ.

საარჩევნო ვადა 5-6 წლით უნდა განისაზღვროს, რადგან დიდი დრო იხარჯება მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ორგანიზაციული საკითხების სრულყოფის მიზნით საპრეზიდენტო, საპარლამენტო თვითმმართველობის არჩევნები საჭიროა ჩატარდეს ერთ დღეს. ის უნდა გამოცხადდეს მნიშვნელოვან დღედ. ის დეპუტატი, რომელიც არ შეასრულებს თავის დანაპირებს 9 თვის განმავლობაში, გაწვეულ უნდა იქნეს ამომრჩევლების მიერ ხმათა უმრავლესობით თავისი ანგარიშის წარდგენის შესაბამისად. არსებული საარჩევნო სისტემის შეცვლა მოხსნის ბევრ ბარიერს, შეამცირებს უმიზნო დაპირისპირებებს და, რაც მთავარია, საზოგადოებაში შეიქმნება რწმენა, რომ ხალხს კანონის უზენაესობა მოუტანს სოციალურ-მატერიალურ სიკეთეს, აამაღლებს რწმენას, რაც უცვლელად უნდა ხდებოდეს კანონის დაფუძნებით.

არ შეიძლება დაპირისპირება, შიმშილობის აქცია მიჩნეული იქნეს პირველად ამოსავალ წერტილად თავისი ფორმა-შინაარსით, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სულიერ, სოციალურ-მატერიალურ საკითხებთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკითხის რეფერენდუმზე გამოტანას. მოსახლეობის 51%-ით მხარდაჭერის პირობებში მისი შესრულება უნდა დაეკისროს აღმასრულებელ სტრუქტურას (ადმინისტრაციას). 3 დღის შეუსრულებლობის შემდეგ აქციის ჩატარებისას მხარე ვალდებულია, ზარალი აუნაზღაუროს შეუსრულებლობის გათვალისწინებით მეორე მხარეს, რომ თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი შედეგები. ყოველ ოთხ წელიწადში საქართველოს პირობებში საპრეზიდენტო, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებში 4 მილიონი ამომრჩევლის პირობებში პირობითად იხარჯება 108 მილიონი ლარი ანუ 45,2 მილიონი დოლარი.

(აღნიშნული ნაშრომი დაცულია საქპატენტის მიერ).

პედაგოგებს ხელფასი გაეზარდათ

აპრილის ბოლოს პედაგოგები გაზრდილ ხელფასს მიიღებენ.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ გუშინდელი მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა, კარიერული სქემის ფარგლებში, პედაგოგებს ხელფასი 1 აპრილიდან გაეზარდათ.

მისივე განმარტებით, საბაზო ხელფასიც გაიზრდება კიდევ 50 ლარით, როგორც ეს შეთანხმებული იყო და, შესაბამისად, გაიზრდება დანამატები საფეხურების მიხედვით.

– 2012 წელს ჩვენ ჩავიბარეთ საბაზო ხელფასი, რომელიც იყო 245 ლარი. დღევანდელი ცვლილების შედეგად, საბაზო ხელფასი 405 ლარი გახდება, რაც არის დაახლოებით 65%-იანი ზრდა, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

2016 წლის აპრილიდან პრაქტიკოსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის უკვე დაახლოებით 600 ლარი, ხოლო 2012 წელს იყო 360 ლარი.

– უფროსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის 800 ლარი, 2012 წელს იყო 450 ლარი. წამყვანი მასწავლებლის ხელფასი არის 965 ლარი, 2012 წელს დაახლოებით 500 ლარი იყო. პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში გვაქვს 67%-იანი ზრდა, 78%-იანი ზრდა უფროსი მასწავლებლის შემთხვევაში და წამყვანი მასწავლებლის შემთხვევაში – 93%-იანი ზრდა, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, მასწავლებელთა ხელფასის მომდევნო ზრდა 2017 წელს 1 იანვრიდან განხორციელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ პერიოდიდან მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება 800-900 ლარი უნდა იყოს.

როგორც სანიკიძემ განმარტა, სახელფასო ზრდისთვის სახელმწიფომ ვაუჩერული დაფინანსება გაზარდა და კონკრეტულად მასწავლებელთა ხელფასის გასაზრდელად დამატებით 90 მილიონი ლარი მიმართა.

2017 წლისთვის ხელფასების გაზრდისთვის საჭირო გახდება კიდევ 35 მილიონი ლარის დამატება.

ბიპიენი

თამარ ჩხეიძე: „რუსეთს „ოცნების“ რეიტინგის კლება აშფოთებს“

ენდიაის კვლევების თანახმად, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთმანეთთან ძალიან მიახლოებული რეიტინგები აქვთ. გამეორდება თუ არა ეს სურათი საპარლამენტო არჩევნებზე? ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ არჩევნების დროს ბევრი ფაქტორი იმოქმედებს. გარდა ამისა, მანამდე შეიძლება განვითარდეს ისეთი მოვლენები, რომლებიც არჩევნებზე იმოქმედებს.

მარიამ მჭედლიშვილი

თამარ ჩხეიძე:

– ახლანდელი კვლევის შედეგები ახლოსაა რეალობასთან, მაგრამ არჩევნების შედეგები შეიძლება სხვაგვარი იყოს. არჩევნების დროს ყოველთვის მოქმედებს სხვადასხვა ბერკეტი, მათ შორის, სახელმწიფო ბერკეტები. არც ისაა გამორიცხული, რომ მმართველი პარტიის რეიტინგი კიდევ დაეცეს. არ უნდა გამოირიცხოს გაუთვალისწინებელი მოვლენებიც. ასეთი გარემოებები, როგორც წესი, გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე.

– კვლევა მმართველი კოალიციის დაშლამდე ჩატარდა.

– კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლა დიდად არ იმოქმედებდა რეიტინგებზე, თუმცა საზოგადოების ნაწილში რესპუბლიკელების გასვლა დადებითად აღიქმება.

– არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე თუ არის მოსალოდნელი რომელიმე ახალი ძალის გამოჩენა, რომელიც შეცვლიდა ამ სურათს?

– ახალი ძალის გამოჩენა და ჩართვა ამ პროცესებში ძალიან ძნელად წარმოსადგენია, თუმცა ცდუნება დიდია – მოსახლეობის დიდ ნაწილს გადაწყვეტილი არ აქვს, ვის მისცეს ხმა, ამიტომ ბევრს უჩნდება სურვილი, დაეუფლოს აუთვისებელ ხმებს. სურვილი დიდია, მაგრამ, რამდენად რეალიზდება ეს სურვილი, სხვა საქმეა.

– ამ კვლევის თანახმად, გაიზარდა ევროკავშირის მომხრეთა და ევრაზიული კავშირის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა. მანამდე რატომ იყო სხვა სურათი ან მერე რა შეიცვალა?

– ჩემი აზრით, ამ მონაცემების შეცვლა უკავშირდება „ქართული ოცნების“ რეიტინგის ვარდნას. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ „ქართული ოცნების“ მომხრეებს შორის იყო საზოგადოების ნაწილი, რომელიც თავის რუსეთუმეობას უკავშირებდა „ქართულ ოცნებას“. ამ ძალის ავტორიტეტის ვარდნასთან ერთად შემცირდნენ ევრაზიული კავშირის მიმდევრები. ხალხმა ისიც დაინახა, რომ რუსეთთან ვაჭრობასა და ეკონომიკური კავშირების აღდგენას შედეგი არ მოუტანია.

– გამოკითხულებს ყველაზე მეტად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აღელვებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველი არჩევანს გააკეთებს ეკონომიკური პროგრამების მიხედვით?

„ენდიაიმ 2012 წელს რეალური შედეგები წარმოადგინა“

– ეკონომიკური პროგრამა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამომრჩეველი პროგრამებს არ კითხულობს. ამიტომ პარტიებმა თავიანთი შეხედულებები უნდა ჩამოაყალიბონ მესიჯების სახით. ალბათ, ამომრჩეველზე ეს იმოქმედებს.

– გაუთვალისწინებელი მოვლენები ახსენეთ. არჩევნებამდე დესტაბილიზაციაც მოსალოდნელია?

– ჩვენ ვიმყოფებით იმ მძიმე ვითარებაში, როცა რუსეთი და დასავლეთი გლობალურ დაპირისპირებაში არიან ერთმანეთთან. გრძელდება ბრძოლა საქართველოსთვისაც. სამწუხაროდ, რუსეთი დიდ ბერკეტებს ფლობს. მათ შორისაა რუსული აგენტურა და ხალხის მართვის საშუალებები. რუსეთს ძალიან კარგად აქვს შესწავლილი ქართველების მენტალიტეტი, რასაც ის ზემოქმედებისა და მართვისათვის იყენებს.

2012 წელს რუსეთმა მისთვის სასურველი ძალა მოიყვანა საქართველოს სათავეში. ახლა მას აშფოთებს „ოცნების“ რეიტინგის კლება. „ქართულმა ოცნებამ“ ნაწილობრივ შეასრულა რუსეთის დავალებები. რუსეთი მეტს მოითხოვს და ხელს შეუწყობს ისეთ ძალას, რომელიც უფრო მეტს შეუსრულებს. არაა გამორიცხული, რომ რუსეთმა ამ მიზნით გარკვეული მოვლენების პროვოცირება და დესტაბილიზაცია მოახდინოს.

გამოითქმის აზრი, რომ 2012 წლის არჩევნების წინ ენდიაის კვლევისა და არჩევნების შედეგები ერთმანეთს არ დაემთხვა. ეს სწორი არ არის. ენდიაიმ რეალური სურათი აჩვენა, რომელშიც იმარჯვებდა ნაციონალური მოძრაობა. ცოტა ხანში სურათი იმის გამო შეიცვალა, რომ ციხეში გადაღებული ფირები გავრცელდა.

ვინ აკონტროლებს ახალი ბინების ხარისხს

სოფო ჩიხლაძე

საქართველოში ბინათმშენებლობის ბუმია, სამშენებლო სექტორი კი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გარეშეა დარჩენილი. ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ მშენებარე თუ ახლადაშენებული კორპუსების უმრავლესობას ბევრი ხარვეზი აქვს, უხარისხოდ ნაშენ კორპუსებში კი ცხოვრება სახიფათოა.

ბოლო წლებში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც უკვე შესახლებული მაღალსართულიანი სახლი დაიბზარა, კორპუსმა დეფორმაცია მიიღო, საცხოვრებელს გარესაფარი ჩამოეშალა, ძლიერი ქარის დროს მშენებარე კორპუსის კედელი დაირღვა და ა.შ. რა მოხდება უფრო ძლიერი სტიქიური მოვლენის, მაგალითად, მიწისძვრის შემთხვევაში, ექსპერტებს ამის წარმოდგენაც კი აშინებთ.

„თუ ხარისხიანი შენობები არ გვექნება, ბინებს ვერ გავყიდით“

„სამშენებლო სექტორში ლიცენზირებული მშენებლები უნდა გვყავდეს“

– საქართველოს დედაქალაქი მაღალ სეისმურ ზონაშია, 8-9-ბალიანი ზემოქმედების ქვეშ. როგორც ჩვენთან, ისე მეზობელ ქვეყნებში, დაბალი ინტენსივობის მიწისძვრები გახშირდა. ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თუმცა, სამწუხაროდ, მთავრობის მხრიდან აღნიშნულ საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა, – ამბობს საქართველოს მშენებელთა კავშირის ვიცეპრეზიდენტი მალხაზ ბედიაშვილი.

მისი თქმით, სამშენებლო სექტორში დამკვეთები ცდილობენ, რაც შეიძლება იაფად ააშენონ სახლები და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები.

– ბინის პროექტი 8 ბალზე პროექტირდება, 8-ბალიან მიწისძვრაზე გათვლილმა შენობამ ექსპერტიზა უნდა გაიაროს, ამ ეტაპსაც გადალახავენ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კონტროლის გარეშე კეთდება. სახელმწიფო ფინანსებით რაც შენდება, იმ შენობებზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი ხორციელდება, მაგრამ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დამკვეთთა ფინანსებით უნდა აიგოს, გაუკონტროლებელია, – აცხადებს მალხაზ ბედიაშვილი.

ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშეს“ თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე ხაზს უსვამს, რომ 25 წელიწადზე მეტია, საქართველოში არ ჩატარებულა არცერთი შენობის ლაბორატორიული გამოცდა სეისმომედეგობაზე და არცერთი ბინის ლაბორატორიული შემოწმება სამშენებლო-ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

– შენობები 8 ბალზე უნდა იყოს გათვლილი. გაუძლებს თუ არა მშენებარე და ახლადაშენებული კორპუსები 8-ბალიან მიწისძვრას, ამისი დოკუმენტი არავის აქვს, ადამიანები კი ასეთ ბინებში შედიან და ცხოვრობენ, – ამბობს ანზორ საკანდელიძე.

როგორც დარგის სპეციალისტები აცხადებენ, სახელმწიფო ობიექტებზე არ ამოწმებს არც საშენი მასალის ხარისხს, არც მშენებლობის პროცესის მიმდინარეობას, არც დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციას და ა.შ. მშენებარე თუ ახლადაშენებულ საცხოვრებელ კორპუსში ბინის შეძენის მსურველთათვის ხარისხის გარანტი ბინის მშენებლობის დამკვეთის პატიოსნებაა.

– დღეს საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მშენებლობის პროცესს არავინ ამოწმებს და ვართ მშენებლობის დამკვეთის იმედად, – აცხადებს ანზორ საკანდელიძე.

განსხვავებული მოსაზრება აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის ხელმძღვანელ ვიტალი დვალიშვილს.

– ვერ დაგეთანხმებით, რომ სამშენებლო სექტორში კონტროლი არ ხდება. დღევანდელი კანონმდებლობით, ნაგებობის ხარისხზე პასუხისმგებელი დამკვეთია. ის ვალდებულია, მშენებლობის ხარისხი აკონტროლოს. ამისთვის არსებობს საავტორო ზედამხედველობა, რომელსაც პროექტის ავტორი უნდა ახორციელებდეს და არის ტექნიკური ზედამხედველობა, – ამბობს ვიტალი დვალიშვილი.

თუ ეს ნორმები დაცულია, მშენებლობებზე პრობლემა არ წარმოიშობა. დამკვეთმა კი საკუთარი თავი უნდა გააკონტროლოს, რამდენადაც ის საბოლოო შედეგზეა პასუხისმგებელი.

– სამწუხაროდ, დღეს ბევრი დამკვეთი კონტროლის რაღაც ნაწილს იგნორირებას უკეთებს. დამკვეთს ვუხსნიდით, სტანდარტით აუცილებელია, რომ 50 კუბმეტრ ბეტონზე 4 ნიმუში ავიღოთო. ისინი ამბობდნენ, ერთი ნიმუში აიღეთ და საკმარისიაო, რაზეც მე მათ ყოველთვის უარს ვეუბნები, რომ სტანდარტები დაცული უნდა იყოს, – ამბობს ვიტალი დვალიშვილი.

მისი თქმით, ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევების შედეგი მეტწილად დამაკმაყოფილებელია.

– ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბეტონის მარკა ან არმატურის ხარისხი არ აკმაყოფილებდა სტანდარტს, რაზეც კომპანიას დროულად ვაწვდიდით ინფორმაციას. ამის შემდეგ კონსტრუქტორმა უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, – აღნიშნავს ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

ის ხარისხის კუთხით სამშენებლო სექტორში არსებულ მდგომარეობას საგანგაშოს არ უწოდებს.

– თითქმის ყველა ცნობილი სამშენებლო კომპანია, რომელიც თბილისში ოპერირებს, ჩვენთან თანამშრომლობს. ჩვენი სპეციალისტები იღებენ ნიმუშებს, ატარებენ კვლევებს და შესაბამის დასკვნებს გავცემთ, – ამბობს ვიტალი დვალიშვილი.

❖ ❖ ❖

მალხაზ ბედიაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას სამშენებლო სექტორის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზზე გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, მშენებლობაზე დასაქმებული ყველა სპეციალისტი, იქნება ეს არქიტექტორი, ინჟინერი, კონსტრუქტორი თუ მშენებელი, ლიცენზირებული უნდა იყოს.

– აუცილებელია, რომ სამშენებლო სექტორში ლიცენზირებული მშენებლები გვყავდეს, მაგრამ ლიცენზირება 10 წლის წინ გააუქმეს. საზღვარგარეთ 5 წელიწადში ერთხელ აუცილებელია სამშენებლო სექტორში დასაქმებული პირების გადამზადება. საქართველოში კი მსგავსი არაფერი ხდება და ეს სფეროც უკონტროლოა, – გვითხრა მალხაზ ბედიაშვილმა.

სამშენებლო სექტორში კვალიფიციური კადრების აუცილებლობაზე საუბრობს ანზორ საკანდელიძეც:

– მუშახელს ნახაზი რომ მისცე, ვერ წაიკითხავს. არადა, მნიშვნელოვანია, რომ მშენებლობის პროცესში ზომები არ დაირღვეს. მუშახელმა უნდა იცოდეს, არმატურა როგორ ჩაალაგოს. ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც პროექტშია მოცემული. ეს განუკითხაობა სადამდე მიგვიყვანს, არ ვიცი. ჯობს, არ ავაშენოთ.

იმას, საქართველოში რაც ხდება, ანზორ საკანდელიძე ველურ მშენებლობას უწოდებს.

– უნდა შეჩერდეს მშენებლობები. გადაიხედოს პროექტები. ამ პროექტებს ექსპერტიზა ჩაუტარდეს და პროექტი და მშენებლობა კანონთან შესაბამისობაში მოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშენებარე სიკვდილის კორპუსები არათუ შემცირდება, კიდევ უფრო გაიზრდება და მოსახლეობის მსხვერპლიც გაიზრდება.

საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერთოს პროკურატურა, დაიწყოს გამოძიება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს კანონი და მოსახლეობა სასიკვდილოდ გაიმეტეს, – ამბობს ანზორ საკანდელიძე.

ბინათმშენებლობის პროცესის დაწყება ნებისმიერი პროფესიის ადამიანს შეუძლია, მთავარია, მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში აუცილებელი დოკუმენტაცია წარადგინოს.

ამის შემდეგ მშენებლობის დამკვეთის კონტროლი მხოლოდ მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს ევალება, რომელიც მშენებარე თუ ახლადაშენებულ კორპუსს მხოლოდ ვიზუალურად ამოწმებს.

რატომ არ ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან სამშენებლო სექტორში კონტროლი, რატომ არ მოწმდება, რამდენად შეესაბამება მშენებარე/ახლადაშენებული ბინა პროექტს?

ეს კითხვები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტისთვის უნდა დაგვესვა, თუმცა თბილისის მერიის პრესსამსახურში გვითხრეს, რომ ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელს ვერ დაგვაკავშირებდნენ. ჩვენს შეკითხვაზე კი მოკლე პასუხი თავად პრესსამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაგვცა.

მისი თქმით, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური აკონტროლებს, რამდენად შეესაბამება მშენებარე/ახლაშენებული ბინის ვიზუალი იმას, რაც პროექტშია მოცემული, ანუ, ბინაში ფანჯარა და კარი პროექტის შესაბამისად რამდენად არის ჩასმული და ა.შ. სხვა ტიპის კონტროლი კი მერიას არ ევალება, მაგალითად, არ ამოწმებს, მშენებარე თუ ახლადაშენებული კორპუსის მზიდი კონსტრუქციები პროექტის შესაბამისად არის თუ არა ამოყვანილი, რამდენად სწორად ხდება საძირკვლის ჩაყრის პროცესი და ა.შ.

– არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებულ ბინის პროექტს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსა-

გაგრძელება მე-14 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბაბონი ქეთათო

გროისმანი უკრაინის ახალი პრემიერი გახდა

უკრაინის უმაღლესმა რადამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ახალი პრემიერ-მინისტრი აირჩია.

ეს პოსტი რადის ყოფილ სპიკერ გროისმანს ერგო.

– დეპუტატებს მსურს მადლობა გადავუხადო, მათ შორის მათაც, ვინც ჩემი მტერი იყო, – ასე დაემშვიდობა დეპუტატებს აწ უკვე ექსპრემიერი იაცენიუკი.

პარლამენტის სპიკერის პოსტი ევრორევოლუციის ერთ-ერთმა ლიდერმა და ვიცესპიკერმა ანდრეი პარუბიიმ დაიკავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

შვედეთის მეფე თანამემამულეებს რჩევებს აძლევს



შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავი თავის ქვეშევრდომებს მოუწოდებს, საკვებად ხორცისა და მარმელადის მოხმარება ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით შეამცირონ.

– მე ხორცის წარმოებით ვარ დაკავებული, მაგრამ წითელ ხორცს ძალიან ცოტას მივირთმევ. ეს უმთავრესად სამედიცინო და ეკოლოგიური მიზეზებითაა განპირობებული. ხორცის საკვებად მოხმარება ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ყოველდღე სისხლიანი ბიფშტექსის მიღების აუცილებლობა არ არსებობს, – განაცხადა შვედეთის მეფემ.

69 წლის მონარქის აზრით, რომელიც სოფლის მეურნეობით 1970 წლიდანაა გატაცებული და ასევე აქტიურადაა დაინტერესებული გარემოს დაცვით, შვედებმა ასევე უნდა შეამცირონ მარმელადის მოხმარება (მის შემადგენლობაში ცხოველური წარმოშობის ნივთიერება – ჟელატინი შედის).

– ყოველთვის უნდა გვახსოვდეს კვების სტრუქტურა და ყველაფერი ცოტ-ცოტა უნდა მივირთვათ, – განაცხადა მისმა უდიდებულესობამ.

სნოუბორდისტი დათვის თავდასხმას გადაურჩა

იაპონიის კურორტ ჰაკუბაზე დამსვენებელი სნოუბორდისტი კელი მერფი მთიდან დაშვების დროს კინაღამ დათვის მსხვერპლი გახდა.

დაშვების დროს დათვი რომ მისდევდა, გოგონამ მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც მის მიერვე გადაღებული ვიდეორგოლი ნახა. რაღაც მომენტში მტაცებელი თითქმის დაეწია პოტენციურ მსხვერპლს, მაგრამ იმ მომენტში გოგონამ სისწრაფეს მოუმატა და მდევარს გაასწრო. როგორც მერფიმ განაცხადა, მას მთიდან დაშვების დროს ყურსაცმები ეკეთა, რიანას სიმღერას უსმენდა, ხმას აყოლებდა და მდევარი საერთოდ არ შეუნიშნავს.

ამავე დროს, სოციალური ქსელების მომხმარებლებს ეჭვი შეეპარათ ჩანაწერის ნამდვილობაში და, მათი აზრით, ის, უბრალოდ, მონტაჟია.

ლონდონელი ტუალეტს აქირავებს

ლონდონის გარეუბან ჰაიგეიტში სახლის მფლობელი საკუთარი ბინის ერთ-ერთი სანიტარიული კვანძის გაყიდვას ან იჯარით გაქირავებას აპირებს.

ჯეიმს ატერტონის ტუალეტი მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული და კარგ მდგომარეობაშია. ერთი თვით იჯარით დაქირავების ფასი სამი ათას ფუნტს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ტუალეტის ხანგრძლივი ვადით – 20 წლით 20 ათას ფუნტად დაქირავება.

ატერტონის ბინა ავტოსადგურის მახლობლად მდებარეობს და ამიტომ ის მიიჩნევს, რომ მისმა წინადადებამ შესაძლოა მძღოლები დააინტერესოს. შენობის კედელზე მან განათავსა დაფა, რომელზეც გამოკრულია განცხადება ტუალეტის იჯარით გაქირავების ან გაყიდვის თაობაზე.

ატერტონი მალე ამ წინადადებით დაინტერესებულების მოზღვავებას მოელის, ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის ერთ-ერთ მოედან პონდსკვერზე უფასო საზოგადოებრივი ტუალეტების დახურვას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრი სექსუალურ სკანდალში გაეხვია

დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრი ჯონ უიტინგდეილი სექსუალურ სკანდალში გაეხვია.

პრესაში დაიბეჭდა მასალები მის ინტიმურ ურთიერთობებზე ერთ-ერთ ქალთან, რომელიც საგარეო ურთიერთობების ასოციაციის თანამშრომელია.

უიტინგდეილი გამოცდილი პოლიტიკოსია. ის 1982 წლიდან კონსერვატიული პარტიის აქტივისტია.

უიტინგდეილის ერთ-ერთი ფუნქცია პრესასთან ურთიერთობების დარეგულირება იყო. კერძოდ, მას უნდა უზრუნველეყო ის, რომ პრესა ბრიტანელთა პირად ცხოვრებაში არ შეჭრილიყო და პარალელურად არც დემოკრატიული ნორმები დარღვეულიყო.

მოხდა ისე, რომ პრესა თავად მინისტრის პირად ცხოვრებაში შეიჭრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალაიზიაში მსოფლიოში ყველაზე გრძელი გველი მოკვდა

მსოფლიოში ყველაზე გრძელი პითონი მოკვდა მალაიზიაში. გველი ადგილობრივმა მუშებმა სამშენებლო მოედანზე წაქცეული ხის ქვეშ მოყოლილი აღმოაჩინეს. შესაძლოა, სწორედ ამან იმსხვერპლა პითონი.

გველი შესაძლოა ისტორიაში შევიდეს, როგორც ყველაზე გრძელი, რომელიც კი ოდესმე დაუჭერიათ. პითონის სიგრძემ რვა მეტრი შეადგინა, მაშინ როდესაც გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებული ყველაზე დიდი გველის, პითონის, სახელად მედუზას სიგრძე 7 მეტრსა და 67 სანტიმეტრს შეადგენს. მალაიზიური პითონი წონითაც გაცილებით აღემატება კანზასურ მედუზას. ის 250 კილოგრამს იწონის, მაშინ როდესაც ამერიკულის წონა 158 კილოგრამია,

ჯერჯერობით მალაიზიური გველის გაზომვა და აწონა მხოლოდ მოხალისეებმა განახორციელეს და რეკორდის დამაფიქსირებელ ოფიციალურ წარმომადგენლებს შესაბამისი მოქმედებები არ ჩაუტარებიათ.

ბრიტანეთში შესაჭმელი საქორწინო კაბა შექმნეს

დიდ ბრიტანეთში მსოფლიოში პირველი საქორწინო კაბა შექმნეს, რომელიც იჭმევა. მისი წარდგენა ლონდონში საერთაშორისო საკონდიტრო გამოფენაზე შედგება, რომელიც 16-17 აპრილს გაიმართება.

უნიკალური კაბის შექმნაზე კონდიტერები სილვია ელბა, ივეტ მარნერი და მხატვარი ილინკა რნიკი მუშაობდნენ. მათ ამისთვის 300 საათი დასჭირდათ.

სადღესასწაულო სამოსი სიგრძეში 170 სანტიმეტრისაა და 75 კილოგრამს იწონის. კაბისთვის დაიხარჯა ათასი საჭმელი ვაფლის ქაღალდის ფირფიტა, 35 კილოგრამი ტკბილეული და 3 კილოგრამი ტორტის მაქმანები. აღსანიშნავია, რომ ტკბილი საქორწინო კაბის ჩაცმა არ შეიძლება.

მშიერი ამერიკელი რესტორანში საკუთარ თავს მოემსახურა

ქალაქ ვაშინგტონში უცნობმა მამაკაცმა სწრაფი კვების დაკეტილ რესტორანში შეაღწია და თავისთვის ჩიზბურგერი გაიკეთა. სათვალთვალო კამერებმა საჭმლის მომზადების პროცესი გადაიღეს. ამასთან, მამაკაცს სახის დამალვა არ უცდია და სამზარეულოში საკმაოდ თამამად მოქმედებდა.

პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ინფორმაციით, მამაკაცი რესტორანში კერძების დამრიგებელს შეჰყვა, შემდეგ მის წასვლას დაელოდა და ამის შემდეგ შეუდგა თავისთვის კერძის მომზადებას.

მამაკაცს რესტორნიდან ფული არ წაუღია, მან თან მხოლოდ წყლით სავსე ბოთლი გაიყოლა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● „სამონასტრო მედიცინის“ რეცეპტურით გთავაზობთ: ალკოჰოლიზმის (შეგიძლიათ საკვებში შერევაც), თამბაქოს საწინააღმდეგო, ნევროზების, უძილობის, ქოლეცისტიტის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, სახსრების სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას მცენარეული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ჩაწერა წინასწარ. ტელ: 555-45-13-45; 599-45-88-66 „კარაბადინი“.

● „სამონასტრო მედიცინის“ რეცეპტურით გთავაზობთ შეუხორცებელი ჭრილობების, ნაწოლების, ტროპიკული წყლულების, ეგზემის, სოკოს, ბუასილის, განგრენის, ვენების ვარიკოზის, პოდაგრის მალამოებს, მამაკაცის, ქალის ფორმულებს სქესობრივი პოტენციის აღდგენა-გაჯანსაღებისათვის. მცენარეულ და თაფლის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

ფაჩულიამ რეგულარული მე-6 ადგილზე დახურა, გოლდენ სტეიტმა — რეკორდით

ზაზა ფაჩულიას დალასმა რეგულარული ჩემპიონატი შინ სან ანტონიოსთან მარცხით დაასრულა, თუმცა ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა თითქმის არ ჰქონდა. დალასელები დასავლეთ კონფერენციაში წაგების შემთხვევაშიც მე-6 ადგილს იკავებდნენ, რადგან ამ ადგილის კონკურენტი მემფისი ოკლენდში თამაშობდა, სადაც გოლდენ სტეიტს სეზონის სარეკორდო, 73-ე გამარჯვების მოპოვება სურდა და ეს ასეც მოხდა.



რეგულარულის ბოლო მატჩში ფაჩულიამ 8 ქულა, 12 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 30 წუთში 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ზაზას სეზონის 26-ე ორმაგ დუბლამდე 2 ქულა დააკლდა.

დალასელებმა ბოლო წუთებზე წააგეს, თუმცა სათქმელია ისიც, რომ სან ანტონიოს აკლდა წამყვანი კალათბურთელები — კავაი ლეონარდი, ტიმ დანკანი, ლამარკუს ოლდრიჯი, ტონი პარკერი, დავიდ ვესტი... მატჩის საბოლოო ანგარიშია 91:96.

დალასმა სეზონი 42 მოგებითა და 30 მარცხით დაასრულა. პლეი ოფში ტეხასელები ოკლაჰომა სიტი სანდერს შეხვდებიან. მომდევნო წრეში ის გუნდი გავა, რომელიც სერიაში 4 გამარჯვებას მოიპოვებს. მოედნის უპირატესობა ოკლაჰომელებს აქვთ, რომლებმაც რეგულარული ჩემპიონატი 55 მოგებითა და 27 მარცხით, დასავლეთ კონფერენციის მე-3 საფეხურზე დაასრულეს.

ახლა რეკორდზეც: გოლდენ სტეიტ უორიორსმა ნბა-ს რეგულარული სეზონი 73 გამარჯვებითა და 9 წაგებით დაასრულა, რაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის საუკეთესო მაჩვენებელია. „მეომრებმა“ 1995-96 წლების ჩიკაგო ბულზის (72 მოგება, 10 წაგება) რეკორდი დაამხეს.

ინგლისში საუკეთესო ფეხბურთელის კანდიდატები დაასახელეს

დასასრულს უახლოვდება ინგლისის პრემიერლიგა და უკვე დასახელდნენ კანდიდატები, რომლებიც წლის საუკეთესო ფეხბურთელობისთვის იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ კანდიდატთა შორის ახალი სახე მეტია.

დიმიტრი პაიე (ვესტ ჰემი), ჰარი კეინი (ტოტენჰემი), მესუთ იოზილი (არსენალი), ნგოლო კანტე, ჯეიმი ვარდი, რიად მარეზი (სამივე ლესტერი) — სწორედ ამ ექვსეულიდან მიიღებს საუკეთესოს პრიზს ერთ-ერთი.

გასაკვირი არ არის, რომ სიაში ლესტერის 3 ფეხბურთელი მოხვდა:

საგოლე პასებისა და გოლების ჯამით მარეზი პრემიერლიგაში ყველაზე შედეგიანია. ალჟირელს ფანტასტიკური სეზონი აქვს და „მელიების“ დირიჟორია. ვარდი კი მართლაც უნიკალური მოვლენაა — ჯეიმი რეკორდის დამყარებას, ინგლისის ნაკრებში დამკვიდრებასა და ბომბარდირობისთვის ბრძოლას ახერხებს.

კანტე „მელიების“ ხერხემალია და საფრანგეთის ნაკრებში უმალ მოიკიდა ფეხი.

მათი უმთავრესი კონკურენტი კეინი გახლავს, რომელსაც 22 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით პრემიერლიგაში სადღეისოდ საუკეთესოა.

პაიე ვესტ ჰემთან ერთად საუცხოო სეზონს ატარებს, მაგრამ ცოტა გასაკვირიც იყო მისი ამ სიაში მოხვედრა, ხოლო იოზილი კი პრემიერლიგის საუკეთესო მეპასეა და „მეთოფეთა“ გერმანელ დისპეტჩერს ამ მხრივ ტიერი ანრის რეკორდის გაუმჯობესების შანსი აქვს.

უნდა გამოვლინდეს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელიც, რომლის წოდებისთვის იმავე კეინთან ერთად მისი თანაგუნდელი დელე ალი, ასევე ჯეკ ბატლენდი (სტოკი), ფილიპე კოუტინიო (ლივერპული), რომელუ ლუკაკუ და როს ბარკლი (ორივე ევერტონი) იბრძოლებენ.

კეინი ერთადერთია, რომელიც ორივე ნომინაციაშია დასახელებული, თუმცა ახალგაზრდებში მეტი შანსი აქვს, სადაც მისი უმთავრესი კონკურენტი დელე ალი იქნება.

გამარჯვებულებს 24 აპრილს გამოავლენენ.

შედეგები

13 აპრილი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ატლეტიკო-ბარსელონა 2:0

ბენფიკა-ბაიერნი 2:2

ინგლისი. ასოციაციის თასი

ვესტ ჰემი-მანჩესტერი 1:2

ინგლისი. ჰიემიეჩლიგა

კრ.პალასი-ევერტონი 0:0

საატჩინიო ცხრილი:

1.ლესტერი	33	21	9	3	57-31	72
2.ტოტენჰემი	33	18	11	4	60-25	65
3.არსენალი	32	17	8	7	55-33	59
4.სიტი	32	17	6	9	58-33	57
5.მანჩესტერი	32	15	8	9	39-30	53
6.ვესტ ჰემი	32	13	13	6	52-40	52
7.საუთჰემპტონი	33	14	8	11	44-34	50
8.ლივერპული	31	13	9	9	50-42	48
9.სტოკი	33	13	8	12	37-43	47
10.ჩელსი	32	11	11	10	49-42	44
11.ბორნმუთი	33	11	8	14	40-55	41
12.ევერტონი	32	9	13	10	52-43	40
13.სუონსი	33	10	10	13	34-42	40
14.ვესტ ბრომვიჩი	32	10	10	12	31-39	40
15.უოტფორდი	32	10	8	14	31-37	38
16.კრ.პალასი	33	10	8	15	35-42	38
17.ნორვიჩი	33	8	7	18	35-57	31
18.სანდერლენდი	32	6	9	17	36-57	27
19.ნიუკასლი	32	6	7	19	32-61	25
20.ასტონ ვილა	33	3	7	23	23-64	16

მვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-ბაზელი 1:4

სიონი-სტ.გალენი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გალათასარაი-ფენერბახჩე 0:0

ჩეხეთი. თასი

პლზენი-ბოლესლავი 0:0

დანია. თასი

ოლბორგი-ორხუსი 0:2

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ჩემპიონთა ლიგაზე ტიტულის დაცვა არ ხერხდება

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ორი განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა.

ატლეტიკო — ბარსელონა 2:0

1:0, 2:0 გრიზმანი (36, 88პ)

ატლეტიკო: ობლაკი, ხუანფრანი, გოდინი, ერნანდესი, ფილიპე ლუისი, კოკე, ფერნანდესი (სავიჩი 90), გაბი, ნიგესი, გრიზმანი (კორეა 90), ფერეირა, კარასკო (ტომასი 74)

ბარსელონა: ტერ შტეგენი, ალვეში (სერხი რობერტო 64), პიკე, მასკერანო, ალბა, რაკიტიჩი (თურანი 64), ბუსკეტსი, ინიესტა, მესი, სუარესი, ნეიმარი

კიდევ ერთხელ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა ტიტულის დაცვა ვერ მოახერხა. ამაში კატალონიელები თავად არიან დამნაშავენი.

საკუთარ მოედანზე არცთუ საესურველი შედეგით დამთავრებული მატჩი დიეგო სიმეონეს გუნდს შანსს უტოვებდა. მით უფრო, რომ ბარსელონა ბოლო პერიოდში არადამაჯერებლად თამაშობს. ჯერ კიდევ პეპ გვარდიოლას დროს, კატალონიურ კლუბში კრიზისი თებერვალში იჩენდა თავს, როდესაც სანაკრებო მატჩების შემდეგ ფეხბურთელები გადაღლილები გამოიყურებოდნენ. ახლა კრიზისი აპრილში დადგა, ზედ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩების დროს. არც ესპანეთის ჩემპიონატში გამოიყურება ბარსელონა დამაჯერებლად და სოლიდური უპირატესობა გაანიავა ბოლო მატჩებში.

36-ე წუთზე საულ ნიგესის ჩაწოდების შემდეგ ანტუან გრიზმანმა გაიტანა და მასპინძლები იმ ანგარიშით დაწინაურდნენ, რაც ნახევარფინალში გამსვლელი იყო.

მასპინძლებს გატანა მეორე ტაიმის დასაწყისშიც შეეძლოთ, მაგრამ ნიგესმა ხარიხას გაარტყა ბურთი. კატალონიელები გვიან გამოფხიზლდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. მატჩის ბოლოს ზებრებმა პენალტიც გამოიმუშავეს და გრიზმანმა დუბლი გაიფორმა.

ეს ბევრს არაფერს წყვეტდა — ბარსას ერთი გოლიც ჰყოფნიდა თამაში დამატებით დროში გადაეყვანა. ლუის ენრიკეს შეგირდებმა გასატანად შეუტიეს და ახლოსაც იყვნენ გოლთან, როდესაც გაბიმ ბურთი საჯარიმოში მიიღო ხელით, მაგრამ რიცოლიმ პენალტის ნაცვლად ჯარიმა დანიშნა. თუმცა, ატლეტიკო მოგებას იმსახურებდა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — ანტუან გრიზმანი

ფრანგმა ფეხბურთელმა დიდებული მატჩი ჩაატარა, შეასრულა დუბლი — გოლი თამაშიდან და პენალტი.

დიეგო სიმეონე:

— გახარებული და ამაყი ვარ ჩემი ფეხბურთელებით, რომლებიც გუნდში მყავს, აქ საუბარი არ არის მარტო იმაზე, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა შევძელით. ეს გამარჯვება 4 წლის შრომის შედეგია და ჩვენ ამ ყველაფერს ღირსეული და პატიოსანი ბრძოლით მივაღწიეთ.

ეს იყო უნიკალური, დაუვიწყარი საღამო, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. ახლა მომავალ მეტოქეებზე ვფიქრობ — სიტის წარმოუდგენელი ფინანსური შესაძლებლობები აქვს და დიდი ფეხბურთელები ჰყავს. რეალსა და ბაიერნზე მათი ისტორია მეტყველებს, ისინი დიადი კლუბები არიან. ატლეტიკოსთვის ევროპის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა საამაყო ამბავია, თუმცა ჩვენ შეგვიძლია მეტსაც მივაღწიოთ.

ლუის ენრიკე:

— ატლეტიკოსგან ასეთ დაცვაზე ორიენტირებულ თამაშს არ ველოდით. ჩვენ კი საუკეთესო მატჩი არ ჩაგვიტარებია. მომენტების შექმნა გვიჭირდა. ძალიან დიდი სურვილი გვქონდა ტიტულის დაცვის, თუმცა ახლა მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ატლეტიკოს გამარჯვება მივულოცოთ. საფეხბურთო ეშმაკობა არ გვეყო. ბურთი ჩვენი იყო, მაგრამ შეტევაში სიმწვავე გვაკლდა. მეორე ტაიმში შეტევას მეტი დრო დავუთმეთ, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. ვულოცავ ატლეტიკოს — მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო.

ბენფიკა — ბაიერნი 2:2

1:0 ხიმენესი (27), 1:1 ვიდალი (38), 1:2 მიულერი (52), 2:2 ტალისკა (76)

ბენფიკა: ედერსონი, ალმეიდა, ლინდელოფი, ჟარდელი, ელიზეუ (ივანჩი 88), ფეისა, რენატო სანჩესი, სალვიო (ტალისკა 68), პიცი (გუედეში 58), კარსელა-გონსალესი, ხიმენესი

ბაიერნი: ნოიერი, ლამი, კიმიხი, მარტინესი, ალაბა, ვიდალი, ალონსო (ბერნატი 90), ალკანტარა, დუგლას კოშტა, მიულერი (ლევანდოვსკი 84), რიბერი (გიოტცე 90)

არ გამოდგა იოლი მატჩი ბავარიელებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ბაიერნი დიდი დროის მანძილზე ფლობდა უპირატესობას და მეტოქე „სანგარში“ ჰყავდა გამომწყვდეული. თუმცა, გვარდიოლას შეგირდებს ჰქონდათ შეცდომები, რის შედეგად 2 გოლი მიიღეს, მაგრამ გერმანულმა კლუბმა სასურველი შედეგი მიიღო.

ბავარიელთა მდგომარეობა ოდნავ დამძიმდა პირველი ტაიმის შუაში, როდესაც ბენფიკამ 2 მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ იმავე ტაიმის ბოლოს და მეორეს დასაწყისში მიუნხენელებმა 2 გოლის გატანა მოახერხეს და წყვილში გამარჯვებულის ბედი გაარკვიეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — არტურო ვიდალი

ჩილელი ამ დაპირისპირების გმირი გახდა. ჯერ იყო და მისმა გოლმა მოაგებინა ბავარიელებს ალიანც არენაზე, განმეორებით მატჩში კი ისევ გაუტანა მნიშვნელოვანი გოლი ედერსონს. გარდა ამისა, დიდი მოცულობის სამუშაო გაწია მოედნის ცენტრში.

პეპ გვარდიოლა:

— კმაყოფილი ვართ. კარგად ვითამაშეთ და სასურველი შედეგიც მივიღეთ. ვულოცავ სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს. ახლა ჩვენი მიზანი ფინალში გასვლაა.

რუი ვიტორია:

— მიუხედავად იმისა, რომ მოგებას ვგეგმავდით და მიზანი ვერ შევასრულეთ შეხვედრაში დადებითი მაინც ბევრი რამ იყო. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ 2 კარგი მატჩი ჩავატარეთ.

იკერ კასილიასი: „ყოველი მატჩით კარიერის დასასრულს ვუახლოვდები“

კიდევ ერთი მატჩი ნაკრებში და ესპანეთის ეროვნულ გუნდში დაბრუნებული იკერ კასილიასი ევროპის რეკორდსმენი გახდება.

სადღეისოდ კასილიასსა და ლატვიელ ვიტალი ასტაფიევსს ნაკრებში 166 მატჩი აქვთ ჩატარებული, რაც ბებერი კონტინენტის საუკეთესო მაჩვენებელია.

კასილიასის სანაკრებო დებიუტი ნაკრებში 2000 წელს გეტებორგში, შვედეთის ნაკრებთან შედგა. მას შემდეგ 16 წელი გავიდა.

— თქვენ ევროპის რეკორდი გაიმეორეთ. რას იტყვით ამაზე?

— ძალიან ბედნიერი ვარ. ამ პერიოდში ბევრი ცუდი და კარგი მომენტი მქონია, მაგრამ ახლა მხოლოდ კარგი მახსენდება.

— მსოფლიოში მეხუთე და მეოთხე ადგილზე მყოფთაგან, შესაბამისად, 1 და 3 თამაში გაშორებთ. რამდენ ხანს აპირებთ ნაკრებში თამაშს?

— ყოველი მატჩით კარიერის დასრულებას ვუახლოვდები. დროს ვერავინ უძლებს და გამონაკლისი არც მე ვარ. მაგრამ, ჯერჯერობით, მაქვს სათანადო მონდომება და ენერგია, რომ ეროვნული ნაკრების კარი დავიცვა. არ ვიცი, იქნებ ეს ბოლო წელიწადიც არის ჩემთვის ნაკრებში. ახლა ამაზე არ ვფიქრობ, ყოველი თამაშით სიამოვნება მინდა მივიღო.

— თქვენ გაკრიტიკებდნენ რეალში და გაკრიტიკებენ ახლაც, როცა პორტუში გადახვედით...

— არავის უყვარს უსაფუძვლო კრიტიკა, მაგრამ შეგუება მიწევს. მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ასე იყო, ჩემი თამაში მუდამ გამადიდებელი შუშის ქვეშ განიხილებოდა.

— რა არის ესპანეთის ნაკრების მიზანი ევრო 2016-ზე, რომელიც საფრანგეთში გაიმართება?

— ტიტულის შენარჩუნება. ჩვენ ჩემპიონები ვართ, მაგრამ სწორედ ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებულად თამაშობს. ასე რომ, ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაგვიჭირდება.

— უკვე იცით, როგორი იქნება დელ ბოსკეს 23-ეული ჩემპიონატისთვის?



— ნაკრებს მწვრთნელი შეადგენს. ეს იქნება ის 23 ფეხბურთელი, რომელიც, დელ ბოსკეს აზრით, იმ მომენტისთვის საუკეთესო იქნება ესპანეთში.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ქართველ მოჭიდავეებს დისკვალიფიკაცია გაუუქმდათ



საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს ბოლო რეგულაციის წყალობით 6 ქართველი მოჭიდავე დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

როგორც ირკვევა, ანტიდოპინგური სააგენტოს გადაწყვეტილებით, აკრძალულ პრეპარატ მელდონიუმის მიღება, რომელიც 1 იანვრიდან იყო აკრძალული, 1 მარტამდე აღებულ სინჯებში არ უნდა მერყეობდეს 2-დან 15 მიკროგრამამდე. ქართველი მოჭიდავეების შემთხვევაში კი სინჯი მერყეობდა 0.2-დან 2 მიკროგრამამდე. აქედან გამომდინარე, ქართველებს ყველაანაირი სანქცია მოეხსნათ.

ადრე ამ მოჭიდავეთა გვარები არ მერყეობდა, ახლა კი მათი სახელები გასაჯაროვდა: ბექა ბუჯიაშვილი (57 კგ), ევროპული თამაშების ვიცეჩემპიონი ბექა ლომთაძე (61), ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი ავთანდილ კენჭაძე (74), გიორგი მეშვილდიშვილი (125), ოლიმპიადის ფინალისტი, ვერცხლის მედლის მფლობელი, ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორი დავით მოძმანაშვილი (125) და მათე სოფაძე (85).

აღსანიშნავია, რომ მოძმანაშვილი ერთხელ უკვე ჩავარდა დოპინგზე და განმეორებით შემთხვევაში მას სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა.

მოამზადა
მიხეილ ყორეოლიანმა

16 წლის პიანისტი სიცოცხლისთვის იბრძვის

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის სკოლის მოსწავლე, 16 წლის ნინო ჭყონია სიცოცხლისთვის იბრძვის. მას თავის ტვინის ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა და ახლა საზოგადოების დახმარება სჭირდება. მისი დედა, ფატმან სახელაშვილი, წერილს ავრცელებს და საზოგადოებას თხოვნით მიმართავს:

– ექვსი გაუსაძლისი თვეა, რაც ჩემი შვილი, 16 წლის ნინო ჭყონია თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში წევს. მას თავის ტვინის სიმსივნის ოპერაცია გაუკეთეს გიორგი და ედიშერ მაღალაშვილებმა. ისინი უკვე ექვსი თვეა ძალღონეს არ იშურებენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

ამ დროის განმავლობაში ნინოს გვერდით დგას 133-ე საჯარო სკოლის, განსაკუთრებით კი XI კლასის მოსწავლეები, ნინოს თანაკლასელები, რომლებმაც შეუძლებელი შეძლეს და გაუჩინარი გააჩინეს. ნინოს თანაკლასელების ძალისხმევით იყო სიუჟეტი გადაცემაში „სხვა რაკურსი“.

საგანგებო კონცერტით გამოეხმაურა ნინოს პრობლემას ზ.ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის სკოლა, რადგან ნინო ამ სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა.

ჩვენი მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანა არაერთმა ახლობელმა თუ შორეულმა, ნაცნობმა თუ უცნობმა, ამის გამო დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ზემოთ ხსენებულთა შორის იგულისხმება.

მიუხედავად ასეთი ზრუნვისა, ნინო კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაშია, ამიტომაც იზრდება საავადმყოფოს დავალიანება, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს.

ჩვენი ამოცანაა, ამ ეტაპზე ნინო ისევ დარჩეს საავადმყოფოში სამკურნალოდ, რადგან მისი სახლში მოვლა შეუძლებელია, რადგან იკვებება ზონდირებით და ჟანგბადდამოკიდებულია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მეგან ფოქსი დედობისთვის მესამედ ემზადება

ჰოლივუდის მსახიობი მეგან ფოქსი მესამე შვილის გაჩენის მოლოდინშია. ასეთ დასკვნამდე მასმედიის წარმომადგენლები მას შემდეგ მივიდნენ, რაც 29 წლის ვარსკვლავი ლას-ვეგასში გამართულ კინოგამოფენაზე საკმაოდ მომრგვალებული მუცლით გამოჩნდა.

ფოქსი ფილმ „კუ ნინძები 2“-ის პრემიერაზე მივიდა, რომელშიც მან ფილმის გმირ ეიპრილ ო,ნილის როლი შეასრულა.

მსახიობს საკუთარ ფეხმძიმობასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, ისევე, როგორც არც მის პრესმდივნებს გაუკეთებიათ შესაბამისი განცხადებები.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ ფოქსი მსახიობ ბრაიან ოსტინ გრინს შორდება. ამის მიზეზად მან მეუღლეებს შორის უთანხმოება დაასახელა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ვინ აკონტროლებს ახალი ბინების ხარისხს

დასაწყისი მე-11 გვერდზე

ხური. კონტროლდება, გარეგნულად რამდენად შეესაბამება მშენებარე ან ახლადაშენებული ბინა პროექტს, მაგრამ, შიგნით რა ხდება, ამის კონტროლი ჩვენ არ გვევალება. ეს არ არის ჩვენი კომპეტენცია. კანონი ამას არ გვავალდებულებს, – გვითხრეს მერიის პრესსამსახურში.

ქვეყანაში მშენებლობის პროცესის კონტროლს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროც ახორციელებს, თუმცა უწყებას მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების, მაგ. პორტის, რკინიგზის სადგურის, ბენზინგასამართი სადგურის და ა.შ. მშენებლობის კონტროლი ევალება. კერძო ბინათმშენებლობის კონტროლი კი სამინისტროს არ ეხება.

როგორც ეკონომიკის სამინისტროს პრესსამსახურში გვითხრეს, სამშენებლო კოდექსის დახვეწაზე სამინისტროს შესაბამისი სამსახური დიდი ხანია, მუშაობს. პრესსამსახურში დაგვპირდნენ, რომ დაგვაკავშირებდნენ სპეციალისტს, რომელიც ისაუბრებდა, რა ცვლილებებზე მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა, ჩვენი არაერთი მცდელობის მიუხედავად, ინტერვიუ არ შედგა.

ჩვენ დავუკავშირდით დეველოპერულ კომპანია „სვეტის“ ხელმძღვანელობას და დავინტერესდით, რა ტიპის კონტროლს გადის კომპანიის მშენებარე კორპუსები.

კომპანიაში წარმოადგინეს საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სერტიფიკატები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, სადაც მითითებულია, რომ კორპუსები სამშენებლო სტანდარტების დაცვით შენდება.

– მშენებლობის პროცესში ხარისხის კონტროლს კანონი არ გვავალდებულებს, მაგრამ ხარისხს მარტივი მიზეზის გამო ვაკონტროლებთ, ჩვენი მშენებლობა არ იწყება და მთავრდება ერთი სვეტის ქალაქით. ეს არის 100 ათას კვადრატულ მეტრიანი მშენებლობა და გაგრძელდება მომავალშიც, – ამბობს „სვეტის“ გენერალური დირექტორი თორნიკე ჯანელიძე.

მისი თქმით, ახლა სამშენებლო სამუშაოები 500 ათას კვადრატულ მეტრზე მიმდინარეობს.

– თუ ხარისხიანი შენობები არ გვექნება, ბინებს, რომლებიც მომავალში უნდა ავაშენოთ, ვერ გავყიდით, ბიზნესი ვერ განვითარდება. ჩვენ ვაკეთებთ ხარისხის კონტროლს იმისთვის, რომ გვქონდეს მაღალი ხარისხი, ვიყოთ სანდო და ჩვენი სამომავლო პროდუქტები კარგად გაიყიდოს, – ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი.

მან არ იცის, რა მდგომარეობაა იმ კომპანიებში, რომლებიც ერთ და ორ მიწის ნაკვეთს აიღებენ და იქ კორპუსის აშენებით უნდათ, რომ ფონს გავიდნენ.

❖ ❖ ❖

როცა სახელმწიფო უმოქმედოა, მოქალაქეებმა საფრთხისგან თავი როგორ უნდა დაიცვან?

ზოგი ფიქრობს, რომ სანამ ახალ კორპუსში საცხოვრებლად გადავა, შესაბამის ლაბორატორიაში დამოუკიდებელი ექსპერტიზა თავად ჩაატაროს. სპეციალისტები კი აცხადებენ, რომ ეს ძვირადღირებული პროცედურაა და არაეფექტურიც.

– თუ კვლევას ატარებ, უნდა გამოიკვლიო არა ერთი რომელიმე კონკრეტული ბინა, არამედ მთელი საცხოვრებელი სახლი. შეიძლება კონკრეტულ ბინაში ყველა სტანდარტი იყოს დაკმაყოფილებული, მაგრამ პირველ სართულზე რომელიმე მზიდი კონსტრუქცია დაზიანებული იყოს.

ამიტომ საჭიროა საკითხის კომპლექსური განხილვა, ეს კი საკმაოდ ძვირი ჯდება. ერთი პოტენციური მყიდველი არ დახარჯავს იმდენ ფულს, რომ მთელი სახლი გამოიკვლიოს, – აცხადებს ვიტალი დვალიშვილი.

❖ ❖ ❖

სამშენებლო საქმიანობა დღეს საქართველოში მომგებიან ბიზნესად ითვლება. ქვეყნის ბიზნეს-სექტორში მშენებლობა ერთ-ერთი მზარდი სფეროა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ბინათმშენებლობის პროცესი ყველაზე აქტიურად დედაქალაქში მიმდინარეობს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მხოლოდ თბილისში 2007-2015 წლებში ბინათმშენებლობაზე 14.351 ნებართვა გაიცა.

2012 წელს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა 1.793 ნებართვა გასცა, 2013 წელს – 2.120, 2014 წელს – 2.842, გასულ წელს კი – 3.210.

ასტროპროგნოზი
15 აპრილისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარს საოჯახო პრობლემების მოგვარებას მოანდომებთ. ერიდეთ კონფლიქტს თანამოსაუბრესთან. სასარგებლო იქნება ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა. **ჯარო** – თუ ბიზნესის სფეროში ხართ დაკავებული, მაშინ წარმატებას ელოდეთ. სიყვარულში სასიამოვნო სიახლეა. **ტყუპები** – სიცრუე, ღალატი პარტნიორის მხრიდან პრობლემებს შეგიქმნით. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. **კირჩხიბი** – გრძნობებს ნუ გამოავლენთ. თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. ერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან. **ლომი** – ჯანმრთელობის მდგომარეობას ყურადღება მიაქციეთ. ნუ იჯიუტებთ, თორემ ახლობლებთან ურთიერთობა გაგიფუჭდებათ. **ქალწული** – პროვოკაციული და კონფლიქტური დღეა. ერიდეთ საქმის გარჩევებს. ნუ გადაიღლებით. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის. შესაძლოა ძველი ვალი დაგიბრუნონ. **ღრიანკალი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი და ჰარმონიული დღეა. ნებისმიერ პრობლემას იოლად გაუმკლავდებით. **მშვილდოსანი** – რთული დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებში ჩართვას. იოლად გულთან ნურაფერს მიიტანთ. პარტნიორთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა შემთხვევით მისი თავმოყვარეობა არ შელახოთ. **მერწყული** – ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა, ხელშეკრულებების გაფორმება სხვა დროისათვის გადადეთ. სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. სავაჭრო ოპერაციებისათვის შეუფერებელი დღეა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ბერძნული ცეკვა; 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 13. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 15. ესტონეთის პრეზიდენტი; 16. სამურაების მეთაური; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

თარაზულად: 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. კუთხე საქართველოში; 11. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 12. განუხორციელებელი ოცნება; 14. ოსური ცეკვა; 17. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 19. დიდი სიცხე; 20. სახელმწიფო ევროპაში; 21. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია; 23. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რუბენსი; 2. ბროსნანი; 3. ალგებრა; 5. საქსონია; 7. ჭიანური; 9. იაკიტორია; 13. მადრიდი; 15. იგუასუ; 16. მადონა; 18. წვიმა.

თარაზულად: 4. კუროსავა; 6. აბრსკილი; 8. მელიქიშვილი; 10. მენზულა; 11. კარე; 12. ბრუნეი; 14. ხირსა; 17. კოლბა; 19. კუკია; 20. პოლონეზი; 21. ადლი; 22. ბურჭულაძე; 23. ფაიფური.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყარყუმი; 2. გაგარინი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. ჯაყელები; 8. „ბარახსი“; 12. რომი; 13. პოლემიკა; 14. ბრინჯი; 16. დარიალი; 18. კოდაი; 20. ჯუნო.

თარაზულად: 6. ზარზუელა; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ფურკა; 10. ფიტარეთი; 11. აფერისტი; 15. სოლისიტორი; 17. „ჩიხურა“; 18. ჯორჯტაუნი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. კოსმოსი.

ქართველი მუსიკოსის პერფორმანსი მიწასა და ჰაერში შესრულდება

ნორვეგიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის კოკა ნიკოლაძის პერფორმანსი მიწასა და ჰაერში შესრულდება. გია ნიკოლაძის ძმამ შეკვეთა ნორვეგიის კულტურის საკონსულოსგან მიიღო.

კოკა ნიკოლაძე:

– დღეს მომცეს თქმის უფლება! საშინლად მიხარია! ნორვეგიის კულტურის საკონსულოსგან მივიღე სუპერ მასიური შეკვეთა, ოპერის გაბარიტების პერფონმანსი, რომელიც შესრულდება როგორც მიწაზე, ასევე ჰაერში. დეტალების თქმის უფლება არ მაქვს. პრემიერა „ურბანული ლიტურგია“ შედგება 2017-ში.

ეიფმანის საბალეტო დასი თბილისში ჩამოდის

სანკტ-პეტერბურგის ეიფმანის საბალეტო დასი თბილისში ჩამოდის. მოეკეკვავეები მაყურებლის წინაშე წარდგებიან სპექტაკლით „ანა კარენინა“.

მსოფლიო ნოვატორმა ქორეოგრაფმა ბორის ეიფმანმა ბალეტი „ანა კარენინა“ პეტრე ჩაიკოვსკის მუსიკაზე 11 წლის წინ დადგა. ეიფმანის ბალეტის თეატრის რეპერტუარიდან ის ყველაზე მოთხოვნადი დადგმაა. უკვე წლებია იგი უცვლელი წარმატებით იდგმება ამერიკის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ჩინეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის საუკეთესო სცენებზე. ამ სპექტაკლში ბორის ეიფმანი აქცენტს აკეთებს სასიყვარულო სამკუთხედზე „ანა-ვრონსკი-კარენინი“, სასცენო ფსიქოანალიზის ბრწყინვალე ნიმუშს ქმნის და „მთავარი ინსტინქტით“ შეპყრობილი ქალის საშინელი შინაგანი გარდაქმნის ტრაგიკულ ქრონიკას გვიჩვენებს.

ბორის ეიფმანის შემოქმედება 40-ზე მეტ დადგმას ითვლის. განსაკუთრებული პლასტიკური აზროვნების სტილით ეიფმანის დასი დასავლეთის მაყურებელს იპყრობს. ერთ-ერთი მოწინავე საბალეტო კრიტიკოსი ანა კისელგოფი ბორის ეიფმანს მოღვაწე ბალეტმეისტერთა შორის ლიდერს უწოდებს: „საბალეტო სამყაროს, რომელიც მთავარი ქორეოგრაფის ძიებაშია, შეუძლია შეწყვიტოს ძებნა. ის ნაპოვნია, ეს ბორის ეიფმანია“.

ეიფმანის მოდერნ-ბალეტის გამოსვლა მსოფლიო მეგაპოლისებში უდიდეს მოვლენად აღიქმება, რადგანაც მისი კოლექტივი თავისი გამომსახველობითი ფორმით ახალ აზროვნებას ამკვიდრებს ბალეტის ხელოვნებაში. ეიფმანის მიერ ემოციურად და ინტელექტუალურად შექმნილი მდიდარი საბალეტო ფსიქოდრამები მარადიული ღირებულებების ტოტალურ კრიზისსა და ადამიანის სულის გადარჩენაზეა აგებული, რასაც ასე აშკარად გრძნობს და განიცდის თავად XXI საუკუნის დასაწყისში.

ეიფმანის საბალეტო დასის შედეგრი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე 15 და 16 აპრილს იქნება წარმოდგენილი.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

ნუცა შანშიაშვილს თბილისში კონცერტის ჩატარებაზე უარი უთხრეს

ამერიკაში მოღვაწე ქართველი მომღერლის ნუცა შანშიაშვილის განცხადება დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტის ჩატარებაზე თბილისის მერიამ და კულტურის სამინისტრომ არ დააკმაყოფილა და უარი განაცხადა კონცერტისთვის საჭირო თანხების გამოყოფაზე.

ინფორმაცია ნუცა შანშიაშვილმა თავად გაავრცელა:

– ვწერ ჩემს საყვარელ ქართველ მსმენელს და მაყურებელს. იმათ, ვინც ელოდება ჩემს კონცერტს საქართველოში... შეტანილი მქონდა განცხადება თბილისის მერიასა და კულტურის სამინისტროში თხოვნით, დაეფინანსებინათ ჩემი კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც წარმოდგენილი მექნებოდა ერთ-ერთი ჩემი ბროდვეის საკონცერტო პროგრამა, მსოფლიო უნიკალურ მუსიკოსებთან ერთად. მოკლედ რომ ვთქვა, ისეთ გიუ ზანგებთან ერთად, როგორებიც არიან მინგუს ბენდის ჯაზ ვარსკვლავები.

ასევე მინდოდა ჩემს კონცერტში მიეღოთ მონაწილეობა ჩემი ვოისის ნიჭიერ ახალგაზრდა მომღერლებს. მე მგონი დიდი ბიძგია და წინსვლა ქართველი ახალგაზრდებისთვის ეგეთ მუსიკოსებთან სიმღერა, მაგრამ, სამწუხაროდ, უარი მითხრეს დახმარებაზე მერიამ და კულტურის სამინისტრომ, ფული არ გვყოფნისო.

მე არავის ვაყენებ შეურაცხყოფას და არავის ვაკრიტიკებ, უბრალოდ ვაკონკრეტებ ფაქტს. ჩემი კონცერტები იგეგმება ამერიკაში ნოემბრიდან, მწყდება გული, რომ ჩემს საყვარელ, ყველაზე საყვარელ ქართველ მაყურებელს ვერ ვუმღერებ, მაგრამ იმედი მაქვს, რაღაცა და როდესმე და როგორმე გამოიცვლება უკეთესობისკენ ჩემს საქართველოში...

მინდა შეგახსენოთ, რომ არ მივეკუთვნები არცერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას და პარტიას, მაქვს ჩემი აზრი და ვცემ დიდ პატივს ყველა იმ ქართველს, ვისაც შეუძლია ჭეშმარიტად უყვარდეს თავისი ერი და ემსახუროს მას მთელი გულით... ყოველგვარი ქურდობის, ფულის გათეთრების და ვითომ პატრიოტობის გარეშე.

ლანა ღოღობერიძემ ფილმების კინოფირები ეროვნულ არქივს გადასცა

კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს საკუთარი მხატვრული ფილმების „დღეს ღამე უთენებია“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და „ორომტრიალი“ კინოფირის პოზიტიური ასლები გადასცა.

ეროვნული არქივის კინოგანყოფილება ახალ დოკუმენტებს საარქივო წესით დაამუშავებს, რის შემდეგაც კინოფირები თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ საცავში გადაინაცვლებს და დაინტერესებული პირებისათვის მკვლევართა დარბაზის მეშვეობით გახდება ხელმისაწვდომი.

ლანა ღოღობერიძემ მონაწილეობა მიიღო ეროვნული არქივის პროექტში „ერთი ფილმის ისტორია“. მან პროექტის ავტორის, გიორგი კაკაბაძის ვიდეოკამერის წინ ფილმის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ გადაღების ისტორია გაიხსენა.

ტიციან ტაბიძის 120 წლის იუბილე ღია ცის ქვეშ აღინიშნა

ცისფერყანწელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ტიციან ტაბიძის 120 წლის იუბილე ღია ცის ქვეშ აღინიშნა. შავთელის ქუჩაზე მდებარე სკვერში, სადაც ტიციან ტაბიძის ბიუსტია განთავსებული, პოეტები შეიკრიბნენ, იუბილარი პოეტის შესახებ ისაუბრეს და მისი ლექსები წაიკითხეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ტიციან ტაბიძის შთამომავლებიც. პოეტის სახელობის სკვერს სპეციალურად ამ დღისთვის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა, ბიუსტთან მოეწყო ყვავილნარი და დაირგო ვაშლის ხე.

ქართველი სიმბოლისტი პოეტი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მისი პირველი ლექსები გასული საუკუნის 10-იანი წლების მიჯნაზე დაიბეჭდა. ტიციანი იყო ერთ-ერთი დამარსებელი, ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური ორდენისა, ავტორი ცნობილი წერილისა „ცისფერი ყანწებით“. რედაქტორობდა გაზეთ „ბარიკადს“. ლირიკულ ლექსებთან ერთად წერდა პოემებს, მინიატურებს, წერილებს, ესეებს, ლიტერატურულ ნარკვევებს, თარგმნიდა სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა ნაწარმოებებს. სტუდენტობის წლებში აქტიურ საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა.

ტიციან ტაბიძემ უარი განაცხადა რეპრესირებული პაოლო იაშვილის საჯარო გაკიცხვაზე. 1937 წელს ის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. სხვა ვერსიით, გადასახლებამისჯილი პოეტი ციმბირის ტრამალზე ჩამოსვეს და თოვლიან ქარბუქში მიატოვეს. ამბობენ, რომ ტიციანის მეუღლე ნერვიულობისგან ერთ ღამეში გათეთრდა.

ტიციან ტაბიძისა და სხვა რეპრესირებულთა სიმბოლური საფლავი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მოეწყო.

სამგლოვიარო განცხადებები

ჯულიეტა – ჯემა ჭიჭინაძის

გახსენება

ნახევარი წელი შესრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძვირფასო, შენს წასვლას მონატრებისა და ტკივილის განცდა ახლავს თან, რასაც უფრო და უფრო მძაფრად შევიგრძნობთ. გიყვარდა მოყვასი, ზრუნავდი ახლობლებზე, სიკეთესა და სამართლიანობას ასხივებდი ირგვლივ, თქვენს შვილსა და შვილიშვილებში. გვეუბნებოდი, რომ ღირსება ადამიანმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ჯემა ჯულიეტა, გვიყვარხართ, გვახსოვხარ და გვენატრები.

შენ უცნაურად წახვედი ჩვენგან,
ყველას უზომოდ გვატკინე გული,
ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჯემა
და გაგინათოს ლამაზი სული.
ჩვენი ტკივილი, სევდა, დარდი ხარ,
ჩვენო ჯემიკო, ყველას გვაკლიხარ.

შენი ოჯახი

ერვანდ ელისაშვილის მოგონება

ჩვენო ერვანდ!

თითქმის ნახევარი საუკუნე გვერდიგვერდ ვიღვაწეთ თბილისის მეტროპოლიტენის ელმომარაგების სამსახურში. მეტროპოლიტენის 50 წლის იუბილეც ერთად აღვნიშნეთ ახლახან და... სრულიად მოულოდნელად, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაგვტოვე და მარადისობაში დაიდე ბინა, სადაც, ალბათ, ჩვენი საერთო მეგობრები გიწევენ მასპინძლობას, რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ მოვყვებით (ვინმე რომ არ გამოგვრჩეს!). ღმერთმა ყველანი ნათელში გამყოფოთ (თქვენ უმრავლესობაში ხართ, ჩვენთან შედარებით...)!

სიმართლე უნდა ვაღიაროთ – შენ მაინც ყველასგან გამორჩეული იყავი. შენი საქმის უბადლო სპეციალისტი, ამავდროულად, ადამიანებთან ურთიერთობისა და თანაცხოვრების საოცარი ნიჭითაც იყავი ბუნებისაგან დაჯილდოებული. სწორედ ამიტომ, ყველას გულით ეწყინა შენი გარდაცვალება – დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ხელმძღვანელსა თუ ხელქვეითს...

შენი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გადის... უკვე გვენატრები, გვიყვარხარ, ვამაყობთ, რომ ერვანდ ელისაშვილის მეგობრები გვქვია!

დიდ ილიას დავესესხებით (რომელიც ძალიან გიყვარდათ და უპირველეს ქართველად თვლიდით შენ და ჩვენი უშანგი) და მისი სიტყვებით გეტყვით ჩვენს სათქმელს:

„იყავ მშვიდობით, შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა...“
ამინ!

მეგობრები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

პარასკევი 15 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ადამიანი კამერით" **13.00** ტ/სერ "**ჩინტო ვეტრინე**" **14.00** უეფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური ეტაპის კენჭისყრა **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ძესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.40** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ზებნუბერიეს პალკი**" (ტ.რეტი) **03.00** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **11.40** დოკ/ფ "ნეაპოლი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **10** სერ. **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ლიფი**" **22.00** პოლიტიკა **23.00** მხ/ფ. "**შეუსრულებელი მისია 4**" **01.20** მხ/ფ. "**მიდელტონი**" **03.20** მხ/ფ. "**ახალშობილი**" **05.20** მხ/ფ. "**წყვდიადის სამეფო: ევოლუცია**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **13 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30** ან/სერ. "**პარსკვლავური ომები**" **10.30** სერ. "**კარგი ცოლი**", სეზონი **1,** სერია **08 11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძალები**" **15.30** Discovery- ლომებთან ცხოვრება **16.30** საუკეთესო ხელნაკეთი **17.30** ან/სერ. "**პაპტარი - ჯერის უკანასკნელი მბრძანებელი**" **20.30 20.30 22.30** ბინა **18 23.30** მხ/ფ "**იდალგო**" **2.00 ID Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **3.00** URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** საქართველოს ქალაქები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.50** დ/ფ "8 ტყვია" **11.30** ღვთის სახლი **12.10** პორტრეტები **13.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** მეხუთე კვირის სამოციქულო საკითხის განმარტება **15.50** ეელური ბუნება "ზებრები" **16.30** დ/ფ "მესაზღვრე ბერები" **17.10** წმ. ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **17.30** მიწათმოქმედი "ხორბალი ლომთაგორაზე" **17.45** ქვიშანი დარჩებიან **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **19.50** წმ. ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **20.00** თაობა ზეტი-"ქუჩის ცხოვრება" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "წალენჯიხის რაიონი-ლაკადა"II ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** მეხუთე შაბათის სახარების განმარტებ-დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი **00.35** სათვალეებთან "ქართული ასომთავრული" **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.30** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 3.00** სერ. "**ორსულობის ტესტი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ეკატერინა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ბიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამები
იბეჭდება სააგენტო
„ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.2674	ევრო — 2.5628
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2288	100 რუსული რუბლი — 3.4674

ამინდის პროგნოზი 15 აპრილისთვის

14 აპრილიდან

ოკეანოლოგია

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

საუკეთესო საჩუქარი თქვენი შვილებისთვის!

„ნაუტილუსის" მოგზაურობის ნამდვილი ამბავი

რა საიდუმლო იმალება ოკეანის სიღრმეში? იმოგზაურე წყალქვეშა გემ „ნაუტილუსით" და გაეცანი ოკეანის უცნაურ ბინადრებს.

ამ გამოუცნობ სამყაროში ზოტიკუს დე ლესეფსის დღიურები გაგიძღვება, კაპიტნობას კი ლეგენდარული კაპიტანი ნემო გაგიწევს, რომელსაც ჟიულ ვერნის ნაწარმოებებიდან იცნობ.

აღმოაჩინე დაკარგული ქალაქი ატლანტიდა, მოიპოვე ოკეანის საგანძური და უფრთხილდი პოსეიდონის წყევლას. წინ ხიფათითა და თავგადასავლებით სავსე მოგზაურობა გელის!



გაზეთი „ახალი თაობა" წარმოგიდგენთ

წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

ლუის ენრიკე წაგებას მსაჯს არ აბრალებს

ატლეტიკოსა და ბარსელონის მატჩის ბოლო წუთზე შეხვედრის არბიტრმა, იტალიელმა რიცოლიმ, ატლეტიკოს კარში აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. მიუხედავად ამისა, ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ ის თავისი გუნდის წაგებას მსაჯს არ აბრალებს:

– თერთმეტმეტრიანის ეპიზოდი კარგად ვერ დავინახე. მეუბნებიან, რომ პენალტი იყო. შეიძლება ასეც არის, მაგრამ წაგება მაინც ჩვენი ბრალია. ამჟამად ნეგატიური პერიოდი გვაქვს, მაგრამ მუშაობა უნდა გავაგრძელოთ.

ლიონელ მესი რამდენიმე კვირაა, ტრავმით თამაშობს



ბარსელონას სერიოზული კრიზისის ნიშნები აქვს. კატალონიურმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და ჩემპიონთა ლიგასაც გამოეთიშა. გუნდის მთავარი ლიდერი ლიონელ მესი უკვე 5 თამაშია, მეტოქეების კარის დალაშქვრას ვერ ახერხებს.

როგორც აღმოჩნდა, ლიონელს მყესის ტრავმა აქვს, რომელიც მას არ აძლევს საშუალებას, მოედანზე თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოს. მესი ამის გამო იტალიაშიც იმყოფებოდა ერთ-ერთ ცნობილ ექიმთან, თუმცა მისი ტრავმა ჯერჯერობით არ მორჩენილა.

ამბობენ, რომ არგენტინელი მაესტრო ტკივილგამაყუჩებლების საშუალებით გამოდის მოედანზე, თუმცა თვითონ მესის ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

ბენზემა ევრო 2016-ზე არ იქნება

კარიმ ბენზემასთან დაკავშირებით საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნოელ ლე გრემ განაცხადა, რომ ბენზემა ევრო 2016-ზე არ ითამაშებს.

ლე გრეს თქმით, ფედერაციამ ამ გადაწყვეტილებაზე დიდხანს იფიქრა და მათთვის ეს პროცესი ძალიან რთული იყო.

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა ეს ინფორმაცია დაადასტურა და თქვა, რომ ამის შესახებ ბენზემას უკვე აცნობეს.

თვითონ კარიმს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, ბენზემა ამის გამო ძალიან განაწყენებულია.

მოამზადა
ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არასოდეს დამავიწყდება ის საღამო საცეკვაო მოედანზე, როდესაც მეუღლეს შევხვდი.

– რომანტიკული გამოვიდა?

– არა, მეტად უხერხული. მეგონა, სახლში იყო, ბავშვებთან!

•••

ორი მონადირე ტყეში მიდის. უცბად ერთი მეორეს ეკითხება:

– დაინახე?

– რა?

– თავზე ტყის ქათამმა გადაგვიფრინა.

–არა.

გააგრძელეს გზა. მალე პირველი ისევ ეკითხება:

– დაინახე?

– რა?

– წინ კურდღელმა გადაგვირბინა.

– არა.

კიდევ ცოტა გაიარეს და პირველი ისევ ეკითხება?

– დაინახე?

მეორე მონადირემ, თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, უპასუხა:

– ჰო, დავინახე.

– მაშინ ფეხი რატომ ჩადგი?

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– შეიძლება სადილზე დაგპატიჟო?

– ღამით არ ვჭამ.

– მაშინ იქნებ კინოში წავიდეთ?

– ნებისმიერ კინოს ინტერნეტიდან გადმოვქაჩავ.

– მაშინ იქნებ უბრალოდ ჩემთან წავიდეთ და ტელევიზორს ვუყურეთ?

– ეგ „ყუთი" სამი წლის წინ მოვისროლე ნაგავში, საყურებელი არაფერია.

– მაშინ იქნებ თავად მიკარნახოთ, რა გიყვართ?

– როგორც ვატყობ, რაც მე მიყვარს, ის შენ ნაკლებად გაინტერესებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სინიშა მიხაილოვიჩი, შესაძლოა, ზაფხულში ლაციოს მწვრთნელი გახდეს

სერბი სპეციალისტი სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მილანიდან გაათავისუფლეს, შესაძლოა, ზაფხულში ლაციოში ვიხილოთ.

ლაციოს ამჟამად ფილიპო ინძაგის ძმა, სიმონე წვრთნის, მაგრამ ის, ალბათ, გუნდის სათავეში მხოლოდ სეზონის ბოლომდე იქნება.

მიხაილოვიჩმა განაცხადა, რომ მას სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება ისევ იტალიაში სურს, ამიტომ, არ არის გამორიცხული, ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოს იყოს.

მიხაილოვიჩი მილანიდან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 2. საეკლესიო წესების კრებული; 3. სვან მამაკაცთა ცეკვა; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. მთავრობის წევრი; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ცხვრის ქონიანი კუდი; 13. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 14. ზღვის ყაჩაღი; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

თარაზულად: 6. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 7. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი კოვბოური შლაპა; 8. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე; 10. დიდი მთლიანი ქვის ლოდი; 11. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 21. შრილანკას დედაქალაქი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. მე-17 საუკუნის ესპანელი ფერმწერი.

შეადგინა
თ.გოგინაშვილმა